ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 2022

№202 (8980)

ფასი: 80 თეთრი



გვ.5

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

ადვოკატი: „სოსო გოგაშვილის თქმით, ბრალის დამძიმების შესახებ ინფორმაცია მაშინ მიიღო, როცა ვახტანგ გომელაურს ესაუბრებოდა“




გვ.5

# „ქართული ოცნება“ რუსეთს პირდაპირ „დაუწვა“




გვ.2

გიორგი ვაშაძე: „წალენჯიხის მერის ავტომობილის დაწვა ტერორისტული აქტია“





გვ.5

შსს-მ წალენჯიხის მერის, გია ხარჩილავას ავტომანქანის დაწვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

## „2024 წელს კოალიციური მთავრობა მოვა, მაგრამ პირველი ვადის შემდეგ, ალბათ, დაიშლება“



გვ.2

## ვახტანგ ძაბირაძე: „ქუჩიდან მოსულ ტალღაზე ნებისმიერ ხელისუფლებას უფრო პატიობს ხალხი“

გიორგი გაჩეჩილაძე: „იმდენად სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ, რომ ახლა ჩვენი დამცველი მხოლოდ და მხოლოდ ნატო და ევროკავშირია. სისულელეების გამო, ქვეყანას დაცვის გარეშე ნუ დატოვებენ“

## „მივმართავ ხელისუფლებას, დაანებონ თავი სტრატეგიულ პარტნიორებთან ჩხიკინს“



გვ.3

„რუსეთს უნდა, უკრაინამ გამოზამთრება ვერ მოახერხოს, ბავშვებიან ქალებიანად გაიყინოს და ყველა ამოიხოცოს“



გვ.3

## ალეკო ელისაშვილი: „ქართულ ოცნებასთან“ ერთად არგენტინაში სასეირნოდ წასვლა „მოსულა“ და აქ რომ დაჯდე და იმუშაო, ეგ არა?“

## „რუსები ქაოსს ვერ გამოიწვევენ“



გვ.3

1993230720223

5 ვინ არიან ქართველები, რომლებიც პოლონეთში ქურდობისთვის დააკავეს

5 „დედაშენს კბილებს ჩავულეწავდი...“

6 ჩეხეთი რუსებს ქვეყანაში შესვლას უკრძალავს

6 განძის მაძიებელმა 380 ვერცხლისა და ოქროს მონეტა იპოვა

# „ქართული ოცნება“ რუსეთს პირდაპირ „დაუწვა“

## გიორგი ვაშაძე: „წალენჯიხის მერის ავტომობილის დაწვა ტერორისტული აქტია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.**



***– ბატონო გიორგი, წალენჯიხის მერს, გია ხარჩილავას გუშინ ავტომობილი დაუწვეს. გამოძიება დაწყებულია. თქვენ აცხადებთ, რომ საქმე გვაქვს სავარაუდო ტერაქტთან. რატომ ფიქრობთ ასე?***

– ასე შემთხვევით არ ხდება აფეთქება. დაიწყეს გამოძიება სხვისი ქონების განზრახ დაზიანების მუხლით თუ რაღაც სისულელე. მე გეუბნებით, რომ ეს არის სავარაუდო ტერაქტი. თვითონ შინაარსობრივად, როგორც არის განხორციელებული ეს დანაშაული, სისხლის სამართლის კოდექსში ამას აქვს შესაბამისი შეფასება. სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება არის აბსოლუტურად სხვა რამ. აბსოლუტურად სხვა შინაარსი. ამიტომ აქ მთავარი კითხვაა, რატომ ხდება ეს?!

***– რატომ ხდება?***

– წალენჯიხის მერი ერთადერთი მერია საქართველოში, რომელიც არ არის „ქართული ოცნების“ კონტროლის ქვეშ. ამაზე ხომ ვთანხმდებით ყველა, არა?! ორი დღის წინ ვიყავი წალენჯიხაში, მე ვფიქრობ, რომ იმ აქტიურობის, იმ მუშაობის პასუხია ეს ყველაფერი, რასაც ის ახორციელებს. გია ხარჩილავა არის გამორჩეული საკუთარი დამოკიდებულებით, ხალხზე ზრუნვით და ა.შ. შესაბამისად, სწორედ ამის პასუხია ეს, რაც მოხდა, ამ შემთხვევაში ტერაქტის სახით რაც განხორციელდა, მასთან მიმართებაში.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს იყო მისი დაშინების მცდელობა?***

– დაშინების მცდელობაც და ისიც, რომ „ქართულ ოცნებას“ და ზოგადად ამ კორუმპირებულ დაჯგუფებებს, არ სჭირდება არანაირი მაგალითის შექმნა, არც კი უნდათ, რომ დაუშვან, რაიმე მაგალითი შეიქმნას საქართველოში, რომ ვინმე რამეს აკეთებს და ხალხის ინტერესებს იცავს. აი ეს არის მთელი შინაარსი.

***– ვერ აკონტროლებენ მას და ებრძვიან?***

– რა თქმა უნდა, ვერ აკონტროლებენ და არა მარტო კონტროლი, არ უნდათ შეიქმნას მაგალითი, რომ მათ კონტროლგარეშე მყოფი პიროვნება აკეთებს საქმეს. წალენჯიხა ნამდვილად გამოცოცხლდა, უამრავი რამ კეთება, რამდენი ღონისძიება დაიგეგმა ახალგაზრდებისთვის, უფროსი თაობისთვის. დღე და ღამე მუშაობს წალენჯიხის მერი, თანაც იმ პირობებში, როცა ცენტრალური უწყებების წარმომადგენლები ხელს უშლიან მას აბსოლუტურად ყველა ნაბიჯზე! წარმოიდგინეთ, სხვადასხვა ქონება იყიდება წალენჯიხის ტერიტორიაზე და კაპიკი არ შედის ადგილობრივ ბიუჯეტში. მაშინ როცა, ეს არის პირდაპირ დარღვევა კანონმდებლობის. ეს არის ვითარება და ეს არის გამოხატულება იმის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. ეს არის პირდაპირ, სავარაუდო ტერორისტული აქტი და თუ ამაზე დროულად არ მოხდება გამოძიება და სასწრაფოდ არ გავიგებთ, ვინ ჩაიდინა და რა იყო მოტივი ამ დანაშაულის ჩადენის, ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ უშუალოდ არის დამკვეთი ამ ყველაფრის!

***– გამოძიება დაწყებულია.***

– დაწყებული გამოძიება ჩვენ ბევრ რამეზე გვინახავს. ამ შემთხვევაში, გამოძიების დაწყება ჩემთვის არაფერს ნიშნავს. არაფერი დიდი დაკავება არ უნდა ადამიანს, რომელმაც წალენჯიხაში, სადაც ამ პერიოდში, ღამით, ალბათ ერთი მანქანა თუ გადაადგილდება მთელ ქალაქში, დაადგინო, ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული. ამას დიდი დრო არ სჭირდება. დაუყოვნებლივ თუ არ მოხდება დამნაშავეების გამოკვეთა, ეს ნიშნავს, რომ თანაორგანიზატორია, სავარაუდოდ, ამ ყველაფრის სპეცსამსახურები, პრორუსული „ქართული ოცნების“ დავალებით.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს სხვა მოაზროვნე და პოლიტიკურად სხვა შეხედულებების მქონე ადამიანების დაშინების მცდელობაც არისო.***

– რა თქმა უნდა, ასეა. ერთადერთი გამონაკლისია წალენჯიხა, სადაც „ქართული ოცნება“ არ არის ხელისუფლებაში. ამიტომაც მოხდა ის, რაც მოხდა. ეს გაცილებით ფართო დანაშაულია, რაც ახლა იქნა ჩადენილი.

***– ბატონო გიორგი, ყირიმის ხიდის აფეთქებასთან დაკავშირებით, რუსული მხარის მხრიდან ვისმენთ შეფასებებს, რომ საქართველოს მოქალაქეებიც მონაწილეობდნენ ამ ყველაფერში. რამდენად სახიფათოა ეს განცხადება? რა ხდება?***

– ეს არის პირდაპირ პროვოკაციული განცხადება ტერორისტული სახელმწიფოს, რუსეთის მხრიდან და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს უსაფრთხოება, პირველ რიგში, გადის ძლიერ თავდაცვის უნარიანობაზე. ტყუილად კი არ ვამბობთ ჩვენ, რომ გვჭირდება თანამედროვე შეიარაღება. ხომ ვხედავთ, როგორი შანტაჟია. სპეკულაციური ენით საუბრობს რუსეთი. მეორე, ეს არის პასუხი ამ რაღაცა ლაჩრულ პოლიტიკაზე, რაც „ქართულ ოცნებას“ აქვს. ისინი ხომ ფაქტობრივად დაუწვნენ თავიდან ბოლომდე რუსეთს?!




***– მაშინ რითი არის რუსეთის ხელისუფლება უკმაყოფილო, თუკი ჩვენი ხელისუფლება ყველა სურვილს უსრულებს? რატომ წამოვიდა ეს აგრესია და ბრალდებები?***

– ჩვენ დასავლური სტანდარტიდან ვუყურებთ ამ ყველაფერს. რუსეთის სტრატეგია კი არის, მაქსიმალურად დააშინოს, დააშანტაჟოს ის, ვინც მის მონური მსახურებისთვის არის მზად. მონას ექცევიან ესე, როგორც ახლა რუსეთი ექცევა „ქართულ ოცნებას“. „ქართულმა ოცნებამ“ გადაგვკიდა ამერიკას და დასავლეთს, რომელიც ჩვენი უსაფრთხოების გარანტია დღეს, ასევე ნატოს, რომელიც აცხადებს, რომ უკრაინის მარცხი, ნატოს მარცხიაო. გერმანიამ უკვე გადასცა ახალი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა და მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე კვირაში, ჩვენ ვნახავთ, რომ ვერაფერი ველარ უშველის რუსეთს. ეს სარაკეტო თავდასხმებიც მალე მთლიანად იქნება განეიტრალებული, რომელიც ახლა დგება მთელ უკრაინაში. ამ პირობებში კი ჩვენ გვყავს „ქართული ოცნება“, რომელმაც მონობის გზა აირჩია. რუსეთი კი მონის მიმართულებით ყოველთვის მეტ შანტაჟს იყენებს. აი ეს არის რეალობა.

***– ნატო ახსენეთ და რა მოლოდინი გაქვთ, უკრაინას რამდენად დაჩქარებული წესით მიიღებენ? ექსპერტთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ომში მყოფ ქვეყანას ნატოში არავინ მიიღებსო. ან ჩვენ რა პერსპექტივა გვაქვს ამ მიმართულებით?***

– მე ბევრი ექსპერტი ვიცი, ვინც იმასაც მიმტკიცებდა, მათ შორის საჯარო სივრცეში, რომ კანდიდატის სტატუსს არც უკრაინას მისცემენ, არც მოლდოვას და არც საქართველოსო. მადლობა ქართველ ხალხს, ათობით ათასი ადამიანი რომ არ გამოსულიყო, ამ განაცხადსაც არ შეავსებდა „ქართული ოცნება“. მაგ ექსპერტებს გადაეცით ჩემგან, რომ აგერ მე და აგერ თქვენ, თუ არ გახდება უკრაინა ნატოს წევრი. აი საქართველო სად იქნება, მოდი, მაგაზე ვიფიქროთ.

***– სად იქნება?***

– ამ გზით, რასაც ახლა ჩვენ ვადგავართ, არსაით! საქართველო იქნება კაპიტულანტურ რეჟიმში რუსეთის ფედერაციასთან. ერთადერთი, რასაც ახლა მე მივიჩნევ სერიოზულ შეცდომად, უკრაინის ხელისუფლების, ეს არის ნატოს ყოფილ გენერალურ მდივანთან ერთად, რაღაც ახალ სამშვიდობო შეთანხმებაზე მუშაობა, რომ რაღაც სხვა გააკეთონ და არა ნატოს წევრობა. ეს არის გზის აცდენა! უკრაინამ უნდა მოითხოვოს ნატოს წევრობა და მორჩა! ის ამას აუცილებლად მიიღებს! უკრაინა აუცილებლად უნდა გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა და ყველა სხვა ალტერნატივა ნატოსი, ნატო ორი თუ ნატო სამი, არც საქართველოს სჭირდება და არც უკრაინას. დარწმუნებული ვარ, აქ მცირე შეცდომაა გაპარული და ჩვენი უკრაინელი მეგობრები ამას მალე გამოასწორებენ.

***– უკრაინა გამოასწორებს, მაგრამ როგორი იქნება ჩვენი მომავალი?***

– „ქართული ოცნების“ პირობებში არაფერი არ იქნება. გეტყვით, სად არის გამოსავალი. ეს არის დიდი ერთიანობა, სრულიად პროევროპული ფლანგის. ყველა ერთად უნდა შევიკრათ, რადგან ძალა, რომელიც ჩვენ გვებრძვის, არის გაცილებით ძლიერი, ვიდრე ეს ღიად ჩანს ფასადზე. რისიც ეშინია პრორუსულ „ქართულ ოცნებას“, ეს არის პროევროპელთა ერთიანობა.

***– რომ არ ჩანს ეს ერთიანობა?***

– მოხდება, აუცილებლად მოხდება. ამაში ვარ დარწმუნებული, რომ ეს მოხდება. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ, უამრავი შეხვედრა იმართება. მათ შორის, საჯარო სივრცეშიც გამოვიდა ამაზე საუბარი ამასთან დაკავშირებით. ამას გვერდს ვერავინ ვერ აუვლის. ვინც უარს იტყვის დიდ პროევროპულ ერთიანობაზე, ჩათვალეთ, რომ ის „ქართული ოცნების“ საქმეს აკეთებს! აი ასე იქნება ეს ყველაფერი. რა დროს ვიწრო პარტიული ინტერესებია. სამშობლო მიტაცებულია პრორუსების მიერ! ყველა ნაბიჯი, რასაც „ოცნება“ დგამს, მიმართულია სტატუსის არმიღებისკენ. არადა, ასეთი შანსი არ გვქონია და კარგა ხანს არც გვექნება.

# „2024 წელს კოალიციური მთავრობა მოვა, მაგრამ პირველი ვადის შემდეგ, ალბათ, დაიშლება“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ქუჩიდან მოსულ ტალღაზე ნებისმიერ ხელისუფლებას უფრო პატიობს ხალხი“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, წალენჯიხის მერის ავტომობილის დაწვას ნიკა მელია გამოეხმაურა – ასე ესმით დეპოლარიზაცია მეორე პოლუსის გადაწვითა და განადგურებით. ამ ფონზე რამდენად არის მოსალოდნელი ევროკავშირისგან მოთხოვნილი დეპოლარიზაციის მიღწევა?***

– დეპოლარიზაცია არ არის ერთჯერადი აქტი. ეს პროცესი საქართველოში ვერასოდეს ვერ შედგა. ეროვნული მოძრაობიდან დღემდე ეს ვერ შევძელით. როგორც ჩანს, რეალურად დეპოლარიზაცია არ უნდოდა საქართველოში არც ერთ ხელისუფლებას და ეს არ უნდოდა არც ერთ ოპოზიციას.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– იმიტომ, რომ ორივე მხარე ამომრჩევლის გულის მოგებას სწორედ დეპოლარიზაციით ცდილობდა. ქუჩიდან, ხმაურის ფონზე ცდილობდა. ამიტომ იყო სამოქალაქო ომიც, გადატრიალებაც, ვარდების რევოლუციაც და 2012 წელს ის შედეგები რომ არ დადებულიყო, რევოლუცია, ახალი დაპირისპირება გარდაუვალი იყო.

ქუჩიდან მოსვლა ყოველთვის უფრო მომგებიანია. ქუჩიდან მოსულ ტალღაზე ნებისმიერ ხელისუფლებას უფრო პატიობს ხალხი. ამიტომ ხშირად პროცესების რადიკალიზაცია ხდება.

***– ლიდერის არჩევაც 90% მხარდაჭერით, ამ მიზეზით ხდება?***

– დიახ, ეს საზოგადოების უმწიფრობაზეც მეტყველებს, დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე. ჩვენი საზოგადოება, პოლიტიკოსს, საქმის მკეთებელს კი არა, გადამრჩენელს, მესიას ეძებს, ეს არის მთავარი მიზეზი. ლიდერს, რომელსაც პოლიტიკური ქარიზმა აქვს, ეს სხვა არის, მე ვსაუბრობ მესიანიზმზე, გადამრჩენლის ძიებაზე, რასაც აუცილებლად მოჰყვება დიდი იმედგაცრუება. ამას კი საზოგადოების ნიჰილიზმამდე მივყავართ, რაც დამღუპველია. ეს ხდება მუდმივად და ამიტომ დავდივართ ამ მოჯადოებულ წრეზე.

***– თითქოს, სცენარიც ერთმანეთს ჰგავს?***

– ზუსტად ასეა. დეპოლარიზაციის ფონზე მოდის კოალიციური მთავრობა, რომელიც ოთხი წლის შემდეგ იშლება, მერე რჩება მთავარი პარტია ხელისუფლებაში, რომელიც ავტორიტარად ყალიბდება საუკეთესო შემთხვევაში და ასე ასრულებს თავის მმართველობას, რომელსაც ახალი კოალიცია ენაცვლება.

***– 2024 წელსაც იგივეა მოსალოდნელი თუ შეიძლება განსხვავებული სურათი მივიღოთ?***

– არა, დარწმუნებული ვარ, კოალიციური მთავრობა მოვა. ეს კოალიცია ალბათ პირველი



ვადის შემდეგ დაიშლება, მაგრამ ოდნავ განსხვავებული სურათი მართლაც შეიძლება იყოს.

***– რას გულისხმობთ?***

– ამჯერად კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება ცოტა ხნის წინ გამოყოფილ ოთხეულთან შექმნას, მაგრამ ეს ხომ არ იქნება რეალური კოალიცია?! ეს ხომ არ მოიტანს არავითარ ცვლილებას. ეს ხომ ვერ შეცვლის ავტორიტარულ მმართველობას, ამაშია საქმე. ამიტომ ვერა და ვერ გამოვდივართ ამ მოჯადოებული წრიდან. ასე თუ გაგრძელდა, დეპოლარიზაცია როგორ დასრულდება.

დეპოლარიზაციის დასრულებისთვის აუცილებელია მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და სასამართლო გარემოს შექმნა. თუ მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა შეიქმნება, მაშინ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე დასრულდება დეპოლარიზაცია, მაგრამ ეს არ აწყობს არც ერთ ხელისუფლებას. ოპოზიციიდან კი ამბობენ, მოვლენ თუ არა ხელისუფლებაში, მაშინვე სასამართლო რეფორმას ჩაატარებენ, მაგრამ მერე ვერ ელევიან, ხელიდან არ უშვებენ ამ სისტემას.

***– როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტი ზურაბიშვილი დეპოლარიზაციის იდეას, მისი სირთულიდან გამომდინარე შეეშვა?***

– მაშინვე ძალიან სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი სალომე ზურაბიშვილის ამ იდეის მიმართ. მას კარგად არ ესმის ამ პრობლემის. მან არ იცის ჩვენი ამ მდგომარეობის გენეზისი. ბევრად უფრო რთულად დგას საკითხი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. პრეზიდენტის სასახლეში გამართული შეხვედრებით ეს საკითხი რომ არ მოგვარდებოდა, ეს უნდა სცოდნოდა, როგორც ჩანს, მიხვდა. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ის ხედავს ამ პრობლემას და სწორად ხედავს, მაგრამ მის გადაჭრას ის სჭირდება, რაზეც უკვე ვისაუბრე და არა შეხვედრები.

დეპოლარიზაციას ახალი გარემო სჭირდება, ახალი რეალობა, რომელიც თავისით ვერ შეიქმნება. ამიტომ დავდივართ ამ მოჯადოებულ წრეზე.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მივმართავ ხელისუფლებას, დაანებონ თავი სტრატეგიულ პარტნიორებთან ჩხიკინს“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „იმდენად სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ, რომ ახლა ჩვენი დამცველი მხოლოდ და მხოლოდ ნატო და ევროკავშირია. სისულელეების გამო, ქვეყანას დაცვის გარეშე ნუ დატოვებენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, რუსეთმა გაავრცელა განცხადება, რომ მანქანამ, რომელიც ყირიმის ხიდთან აფეთქდა, გამოიარა საქართველო, სომხეთი და ჩრდილო ოსეთი. ახლა ამბობს, რომ საქართველოს მოქალაქეები მონაწილეობდნენ. რას შეიძლება ემსახურებოდეს რუსეთის მხრიდან ყირიმის ხიდის აფეთქებაში საქართველოს ხსენება?***

– რუსები ამბობენ, რომ მანქანამ, რომელიც ყირიმის ხიდთან აფეთქდა, ბულგარეთიდან შავი ზღვა გადმოკვეთა და შემოვიდა საქართველოში (ბულგარეთთან საბორნე კავშირი ხომ გვაქვს, ალბათ, ეს იგულისხმება), მერე რატომღაც საქართველოს გავლით სომხეთში წავიდა, იქ განაბაჟა (იქ რატომ განაბაჟა, არ ვიცი), წამოვიდა ისევ საქართველოში, აქედან წავიდა, გაიარა ჩრდილო ოსეთი, სადაც რუსეთის ფედერაციის სამხედროები დგანან, მათი კონტროლის სისტემაა.

***– მათი ტერიტორიაა.***

– გადავიდა ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც საკონტროლო პუნქტი დგას, საკონტროლო მექანიზმები გაიარა და მივიდა ყირიმის ხიდთან. ხიდის შესასვლელში უკანასკნელი მოდელის საკონტროლო სისტემები დგას. პუტინმა ყირიმის ხიდი რომ ააშენა, ზეიმი მოაწყო, ნახეთ, რამხელა რაღაც გავაკეთეო. ამას პლუს ეს ხიდი რუსეთის ყირიმთან დამაკავშირებელია, როგორც სამხედრო, ისე სასურსათო საქონლის მიწოდების თვალსაზრისით.

ამიტომ ყირიმის ხიდთან დგას თანამედროვე, უახლესი ტიპის მაკონტროლებელი სისტემები, რომელიც რადიაციულ (ასაფეთქებელს თავისთავად) ფონს უმაღლეს დონეზე აკონტროლებს.

***– ეს მარშრუტი რუსების მოგონილია?***

– დიახ, ეს მარშრუტი კრემლის შეთხზულია. ეს პუტინისაგან გასაკვირი არ არის, რადგან ის საკუთარ მოსახლეობას ტერაქტებს უწყობდა.

***– დიახ, მახსოვს.***

– ცნობილი ამბავია, ჩეჩნეთის მეორე ომი როგორ დაიწყო. საკუთარ მოსახლეობას ამოწყვეტდა ხოლმე ტერაქტებით, მერე რაღაცას დააბრალებდა, შემდეგ ამას სამხედრო ან პოლიტიკური ინტერვენციისთვის იყენებდა, ხალხს კლავდა და ხოცავდა. პუტინი ხომ ძველი კაგებეშნიკია.

***– რაში სჭირდება საქართველო, რატომ გარია, რატომ მოაწყო ეს პროვოკაცია?***

– პროვოკაცია იმიტომ მოაწყო, რომ ზამთარი მოდის, რეალურად, უკრაინაში ომს აგებს და სასიცოცხლოდ სჭირდება უკრაინის ენერგორესურსების გარეშე დატოვება. ამიტომ იმ 15 ქალაქში სპეციალურად ის ტერიტორიები დაბომბა, სადაც ენერგოობიექტები – თბოსადგურები, წყალმომარაგების ობიექტებია განთავსებული. რუსეთს უნდა, უკრაინამ გამოზამთრება ვერ მოახერხოს, ბავშვებიან ქალებიანად გაიყინოს და ყველა ამოიხოცოს. ასეთი ბოროტული სისტემა აქვს.



**„რუსეთს უნდა, უკრაინამ გამოზამთრება ვერ მოახერხოს, ბავშვებიან ქალებიანად გაიყინოს და ყველა ამოიხოცოს“**

***– საქართველო რატომ გარია ამ საკითხში?***

– ჩვენი ინტერესი აქვს. ჯერ ერთი, ეს არის შურისძიება საქართველოსა და სომხეთზე. სომხეთიც ამიტომ არის მოხსენიებული. ერთი კვირის წინ, ევროკავშირის გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელსაც სომხეთის პრემიერიც ესწრებოდა, ანუ ესწრებოდნენ იმ ქვეყნების მეთაურები, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან, მაგრამ ევროპის კონტინენტზე მოიაზრებიან.

ევროკავშირის გაფართოებულ სხდომაზე, გარდა რუსეთისა და ბელორუსისა, ყველა იყო. ეს ფორმატი საფრანგეთის პრეზიდენტის მოფიქრებულია. მისი წინადადებით, ევროკავშირის ეგიდით, ახალი ფორმატი იქმნება. ერთი მხრივ, ამის გამოა შურისძიება.

მეორე მხრივ, ახლა საქართველოს დიდი საფრთხე ემუქრება. ყველაზე დიდი სამიზნეა და საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ იმ მილსადენებს, იმ ენერგოობიექტებს, რომლის საშუალებით ევროკავშირს გაზი მიეწოდება. ეს არის შახდენიზი, სტანაპი და ა.შ.

***– ანუ, შეიძლება, პუტინმა რაღაც მიზეზი მოიგონოს და დაგვარტყას, ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენები დაბომბოს?***

– თუ პუტინის განცხადებას ყურს დავუგდებთ, მან პირდაპირ მიანიშნა, განაცხადა, ყირიმის ხიდის აფეთქების გამო, შურს ვიძიებთო. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ არის – რამდენიმე თვის წინ, ევროკომისარი აზერბაიჯანში ჩავიდა და ალიევთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, ევროკავშირისთვის გაორმაგებული ოდენობით გაზის მიწოდების თაობაზე.

ესეც ძალიან დიდი დარტყმაა რუსეთისთვის, რომელიც ცდილობს (რადგან სანქციების პირობებში ევროკავშირისთვის გაზის მიწოდება შეუწყვიტეს, ძალიან შეუმცირეს) თავისი სასიცოცხლო ინტერესი დაიკმაყოფილოს – სხვა ქვეყნები, რომლებიც, შეიძლება, ევროკავშირისთვის პოტენციური ენერგოუსაფრთხოების გარანტორები გახდნენ, გაანეიტრალოს. ამიტომ საქართველო ძალიან სერიოზული საშიშროების წინაშე დგას.

მივმართავ ხელისუფლებას, დაანებონ თავი სტრატეგიულ პარტნიორებთან ჩხიკინს. იმდენად სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ, რომ ახლა ჩვენი დამცველი მხოლოდ და მხოლოდ ნატო და ევროკავშირია. სისულელეების გამო, ქვეყანას დაცვის გარეშე ნუ დატოვებენ.

***– მიუხედავად იმისა, ვმონაწილეობთ თუ არა უკრაინის მხარეს ომში, რუსეთი მაინც არ ისვენებს.***

– პოლიტიკის ანა-ბანაა, არავითარი მეგობრობა, სიყვარული, სიძულვილი პოლიტიკაში არ არსებობს, მთავარი მხოლოდ და მხოლოდ ინტერესებია.

***– ცხადია.***

– იქ თვალებს დახუჭავ თუ რას გააკეთებ, ყველაფერი ინტერესების გამო უნდა გააკეთო. ყველა ქვეყანას თავისი პოლიტიკური ინტერესი აქვს. მარტო თუ დარჩები, ყველა გადაგივლის.

***– სტრატეგიულ პარტნიორთან აშშ-სთან და ნატოსთან, ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა გქონდეს, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით უნდა ვემზადოთ თუ არა?***

– ყველანაირად მზად უნდა ვიყოთ. ყველანაირად უნდა მოვემზადოთ, მაგრამ ნატოსთან, ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებთან მჭიდრო კავშირში. ღმერთმა დაგვიფაროს, როგორც ზოგიერთებს უნდათ, ნატოს, ევროკავშირს და აშშ-ს ჩამოგვაშორონ (რაც ვერ მოხდება). წარმოიდგინეთ, გამხეცებულ მტერთან პირისპირ დარჩენა როგორი იქნება.

# ალეკო ელისაშვილი: „ქართულ ოცნებასთან“ ერთად არგენტინაში სასეირნოდ წასვლა „მოსულა“ და აქ რომ დაჯდე და იმუშაო, ეგ არა?“

– არგენტინასა და ლონდონში რომ დადიხარ პარლამენტის ფულით „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, სამუშაო ჯგუფში რომ დაჯდე ისევ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, არ შეიძლება? – ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა, ალეკო ელისაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში პარლამენტში არსებულ სამუშაო ჯგუფებთან დაკავშირებით ოპოზიციის პოზიციაზე საუბრისას განაცხადა.

ალეკო ელისაშვილის თქმით, გაუგებარია, რატომ უწევს ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის ელემენტარული რაღაცის ახსნა, რომ ევროკავშირის მოთხოვნაა, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ერთად იმუშაოს.

– მე მინდა, რომ ჩემი შვილების, ჩემი ქვეყნის წინაშე ვიყო მართალი, ამიტომ რაც დამავალეს, იმას ვაკეთებ. რომ ეთქვათ, ირბინეო, ვირბენდი, მაგრამ დაგავალეს, დასხედით და ერთად იმუშავეთ, ოღონდ ორივე მხარე დასხედითო და დაჯექი, შე დალოცვილო! რატომ არ მოდიხარ? არგენტინაში ხომ დადიან მივლინებაში ზუსტად ის ოპოზიციონერები, სამუშაო ჯგუფში რომ ეზარებათ შემოსვლა. არგენტინასა და ლონდონში რომ დადიხარ პარლამენტის ფულით „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, სამუშაო ჯგუფში რომ დაჯდე ისევ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, არ შეიძლება? იმიტომ კი არა, რომ გიყვარდეს „ქართული ოცნება“ და ხელგადახვეულმა იაროთ, მათ დაგავალეს. თან ჩამოდიან ეს უცხოელები, არ გრცხვენია მაინც? გეუბნება რუმინეთის პრეზიდენტი, ევროპარლამენტარი... დახურულ შეხვედრაზეც გეუბნებიან, „რატომ არ ჯდები? რა გჭირთ ამისთანა, რომ ერთად დასხდეთ?“ არგენტინაში „ქართულ ოცნებასთან“ ერთად მივლინებაში, სასეირნოდ, სინამდვილეში, ხომ დადიან? იქ „მოსულა“, რომ თვითმფრინავში 15 საათი ერთად იყო და გადაიფრინო 2 ოკეანე, აქ რომ დაჯდე და იმუშაო, ეგ არ მოსულა? – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ალეკო ელისაშვილის თქმით, „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლების შენარჩუნება უნდა, თუმცა, რა სურს ოპოზიციას, გაუგებარია.

– „ოცნებამ“ ძალიან კარგად იცის, რასაც აკეთებს, უნდა, რომ შეინარჩუნოს ხელისუფლება, იცის, როგორ გააკეთოს, მაგრამ აქეთ რა გვინდა? მე მინდა, რომ ხელისუფლება შეიცვალოს და „ქართული ოცნება“ აღარ იყოს მმართველი პარტია და გადავიდეს ოპოზიციაში და მინდა, რომ ამ ცვლილებას არ მოჰყვეს აპოკალიფსი და ნგრევა. „ქართლი ოცნებაც“ ნერგავს ამას, რომ „არიქა, ჩვენ თუ არ ვიყავით ხელისუფლებაში, დაგერევიან ქუჩაში“ და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიაც ნერგავს, თან თავი არ აქვს იმის, რომ შეცვალო ქუჩიდან და ქუჩაში და თან ქმნის რაღაც ჭიქაში ქარიშხალს, რომელიც აძლიერებს ისევ „ოცნებას“. ახლა ზუსტად იმის დროა, რომ ვისაც რეალური ცვლილება უნდა, დავსხდეთ და რაღაცებზე შევთანხმდეთ, ოღონდ ჩემი პირობა იქნება კატეგორიული, რომ თუ ვინმეს უნდა რამე ერთიანობაზე მელაპარაკოს, გამოვიდნენ ყველანი, მთელი პარტიები, გამწკრივდნენ და ჩვენს პარტიას მოგვიხადონ ბოდიში, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ალეკო ელისაშვილი გადაცემაში წალენჯიხის მერის ავტომობილის დაწვის ფაქტსაც გამოეხმაურა.

ელისაშვილის თქმით, მას უჭირს იმის დაჯერება, რომ წალენჯიხის მერს მანქანა ხელისუფლების წევრებმა დაშინების მიზნით დაუწვეს.

– ძალიან იდიოტი უნდა იყო, რომ იფიქრო, ოპოზიციონერი მერის შეშინებისთვის, მისი მანქანა დაწვა. არ გამოვრიცხავ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ასეთი მამალი იდიოტები არიან, წალენჯიხის ორგანიზაციაში ან სადმე მეზობელ რაიონში, მაგრამ ძალიან იდიოტობა მგონია ასეთი რამ და ცოტა არ მჯერა, რომ ასეთი ფორმით სცადეს მისი შეშინება. ცოტა სისულელე მგონია ეს ამბავი და კარგი იქნება თუ გამოძიება მალე იტყვის, რა იყო და თან დამაჯერებელი იქნება და არა ისე, ხანდახან ყურით მოთრეულ ამბებს რომ ცდილობენ დაგვაჯერონ.

თუ გამოძიებაში ყურით მოთრეული ფაქტები იყო და ღობეყორეს მიედო და თქვეს, რომ მანქანამ თვითონ გადაისხა ბენზინი და თავი დაიწვა, დაიღალა და ეგეთები თუ თქვეს და არადამაჯერებელი იყო, რა თქმა უნდა, გასაგები იქნება, რომ ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

# „რუსები ქაოსს ვერ გამოიწვევენ“

მარიამ მჭედლიშვილი

აგრესორი რუსეთის მხრიდან განხორციელებული მასირებული შეტევები უკრაინის დიდ ქალაქებზე, სამოქალაქო ობიექტებზე ფაქტობრივად მთელმა მსოფლიომ დაგმო. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ შეტევების მიზანი მიღწეულია.

რამ გამოიწვია მასირებული იერიშები? რის მიღწევას ცდილობს ოკუპანტი? რატომ ვერ გაიმარჯვებს? – ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა სამხედრო-პოლიტიკური მიმომხილველი ალექსანდრ კოვალენკო.

***– აფეთქებები მთელ უკრაინაში – ეს არის რუსეთის ფედერაციის პასუხი ყირიმის ხიდის აფეთქებაზე თუ ეს ყველაფერი ადრე მზადდებოდა?***

– ამგვარი ოპერაციის დაგეგმვას დრო სჭირდება. ჯერ კიდევ 7 ოქტომბერს, პუტინის დაბადების დღეს, ოკუპანტის მხრიდან მოსალოდნელი იყო მასირებული შეტევები უკრაინის ტერიტორიაზე. პუტინის დაბადების დღეს ყოველთვის ახლავს ხოლმე სისხლიანი „შაბაში“. იგეგმებოდა იერიში რაკეტების გარეშე. ქერჩის (ყირიმის) ხიდზე მომხდარმა მოვლენებმა ეს გეგმები შეცვალა. 7 ოქტომბერს შეინიშნებოდა საშუალო-სტატისტიკური სროლები ქალაქების, დაბების სამოქალაქო ობიექტების მიმართ. ქერჩის ხიდზე მომხდარის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. გარკვეული იძულებითი პაუზის შემდეგ დაიწყო კომბინირებული შეტევები. ამ პასუხისთვის რუსები თითქმის 40 საათის განმავლობაში ემზადებოდნენ.



***– კიევს მანამდე თავს არ ესხმოდნენ. მაინცდამაინც ახლა რატომ შეუტიეს?***

– კიევს აქვს საკმაოდ მძლავრი ეშელონირებული საჰაერო თავდაცვა. სარაკეტო იარაღი რუსეთში დეფიციტურია. სადაც არის რაკეტის განადგურების საფრთხე, იქ რუსები ცდილობენ, ის არ გამოიყენონ. სამაგიეროდ, საზღვართან, ან ფრონტის ხაზთან მდებარე ქალაქებსა და დაბებში გამოიყენებოდა როგორც საავიაციო ბაზირების სარაკეტო იარაღი, ისე სხვა სახის გადაკეთებული იარაღი, რომელიც ზედაპირსაც აყენებს დარტყმებს.

***– არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბელარუსის ტერიტორიიდან რამდენჯერმე შემოუშვეს უპილოტო თვითმფრინავები. პოტენციურად რამდენად საშიშია ისინი უკრაინისათვის?***

– ისინი ძალიან საშიშია. ტექნიკურად და ტექნოლოგიურად ეს სავსებით პრიმიტიული დრონებია. ისინი დამზადებულია კუსტარულად, მაგრამ მათ აქვთ საკმაოდ მძლავრი (თითქმის 40-კილოგრამიანი) საბრძოლო ნაწილი. ეს საკმარისია, მაგალითად, ტანკის, ან შენობის ერთი-ორი სართულის გასანადგურებლად. ამიტომაც ამ დრონებს იყენებენ, ამ აპარატებით ანაცვლებენ ძვირ და დეფიციტურ ფრთოსან და ბალისტიკურ რაკეტებს.

***– რა გახდა ახლა რუსეთის მთავარი სამიზნე?***

– რუსეთმა მიზნად დაისახა დარტყმების განხორციელება სამოქალაქო ობიექტებზე, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე. ეს საბრძოლო მოქმედების ზონაში არანაირ სტრატეგიულ და ტაქტიკურ ამოცანებს არ წყვეტს. რუსეთს უნდა იმის დემონსტრირება (პირველ რიგში, საკუთარი მოქალაქეების წინაშე), რომ შეუძლია პასუხი გარკვეულ ინციდენტებზე. ამის მკაფიო სურათებია კიევზე თავდასხმები და რეგიონების უწყლოდ დატოვება.

რუსებს უნდათ იმის ჩვენება, რომ ქაოსის გამოწვევის უნარი აქვთ. არავითარი ქაოსი არ იქნება. მასირებული შეტევები 24 თებერვალს უკვე ვიხილეთ. აი, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს კი ნამდვილად შეუძლიათ ოკუპანტების გაოცება. რუსეთის ფედერაციაში უნდა შეიგნონ, რომ ამ მოქმედებებისგან უარესს თვითონ მიიღებენ. დღეს უკვე შესაძლებელია ახლიდან დავიწყოთ რუსეთის ტერორიზმის სპონსორად გამოცხადების პროცესი. მაგალითად, აშშ-ის კონგრესის დონეზე.

***– როგორ შეუძლია რუსეთს ამ სარაკეტო დარტყმების გამოყენება? შეიძლება თუ არა, ისინი გახდეს გაფრთხილება და შესავალი იმისათვის, რომ რუსეთის ფედერაციამ დაიწყოს ახალი შეტევა, თუნდაც, ბელარუსის მხრიდან?***

– ბელარუსის მხრიდან მასირებული და თავდასხმითი ოპერაციის განხორციელებისათვის აუცილებელია ჯარების გარკვეული რაოდენობის არსებობა. დღეს ბელარუსს აქვს 20 ბტგრ, რომელიც სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს რუსეთის ჯარებთან შედარებითაც კი. რაოდენობის გაზრდა რუსეთში მიმდინარე ნაწილობრივი მობილიზაციის ხარჯზე შესაძლებელია. თუ რუსები დიდი რაოდენობით ხალხს გადაიყვანენ ბელარუსში, ეს შეუმჩნეველი არ დაგვრჩება.

ამჟამად ბელარუსში კონცენტრირებულია 1 500-კაცზე ოდნავ მეტი..

***– შეგვიძლია თუ არა იმის კონსტატირება, რომ ჩვენთვის ეს მტკივნეულია, რუსეთისთვის კი ეს, ფაქტობრივად, კონვულსიებია?***

– დიახ. სწორედ კონვულსიებია. ეს არის ტერორის აქტი სასოწარკვეთილებისაგან, რომელშიც ჩავარდა კრემლის დიქტატორი.

2022, 13 ოქტომბერი, №202

საქმის № 010210622006152036
2-4330/2022

8040585619131
www.ecd.court.ge

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
**საქართველოს სახელით**
საჯარო შეტყობინების შესახებ

27 სექტემბერი, 2022 წელი — ქ. ბათუმი

**ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე - ხათუნა ბოლქვაძე**
**სხდომის მდივანი ცირა ქარცივაძე**

**განმცხადებელი** - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო

**მოთხოვნის არსი** - ქონების უპატრონოდ ცნობა

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

**2022 წლის 05 სექტემბერს** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს უფროსმა ირაკლი ჭავჭანიძემ განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა ქონების უპატრონოდ ცნობა და მისი სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა.

**განმცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მიერ 2021 წლის 12 აპრილიდან 2022 წლის 2 აპრილის ჩათვლით ამოღებული იქნა ზღვაში უკანონოდ ჩადგმული შემდეგი თევზსაჭერი იარაღები, ასევე უკანონოდ მოპოვებული სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის თევზი:

1. 12.04.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 20მმ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. სტავრიდა - 100 გრ; 2. ქაშაყი - 150 გრ; 3.ხონთქარა - 380 გრ.

2. 13.04.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სამკედლა, სიგრძე 25მ. სიმაღლე 1,60მ. თვლის ზომა 250/36/250მმ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. ბაცი ნაგვერდულა - 0,310 კგ; 2. ქაშაყი - 0,380 კგ. 2. ორკედლა, სიგრძე 85 მ. სიმაღლე 2,60მ. თვლის ზომა 70/70მმ. 3. ერთკედლა, სიგრძე 72მ. სიმაღლე 1,80მ. თვლის ზომა 50მმ. 4. სიგრძე 320მ. სიმაღლე 3მ. თვლის ზომა 32მმ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. ლავრაკი - 1,950 კგ; 2. ზღვის დრაკონი - 0,150 კგ; 3. ბაცი ნაგვერდულა - 0.300 კგ; 4. ქაშაყი - 0,150კგ; 5. სმარიდა - 0,080კგ.

3. 14.04.2021წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სამკედლა, სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 120/22/120მმ.

4. 15.04.2021წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიმაღლე 2მ. თვლის ზომა 145მმ. 2. სიმაღლე 1,90მ. თვლის ზომა 20მმ.

5. 19.04.2021წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,70მ. თვლის ზომა 145მმ.

6. 22.04.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 130მ. სიმაღლე 1,70მ. თვლის ზომა 18მმ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. ხონთქარა - 0.060კგ; 2. ქაფშია - 0,090 კგ; 3. სმარიდა - 1კგ; 4. სტავრიდა - 0,580კგ.

7. 04.05.2021წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 100მ. თვლის ზომა 130X130მმ.

8. 07.05.2021წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 40მ. თვლის ზომა 24X24მმ.

9.11.05.2021წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 150მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. სიგრძე 60მ. თვლის ზომა 24X24მმ.

10. 13.05.2021წ. მალთაყვისა და შუქურის საზღვაო რაიონებში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ.

11. 26.05.2021წ. შუქურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. სიგრძე 20მ. თვლის ზომა 24X24მმ.

12. 27.05.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ.

13. 27.05.2021წ. შუქურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. სიგრძე 70მ. თვლის ზომა 30X30მმ.4. სიგრძე 70მ. თვლის ზომა 30X30მმ.

14. 04.06.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სამკედლა, თვლის ზომა 150/18/150მმ.

15. 07.06.2021წ. მალთაყვის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 450მ. თვლის ზომა 30X30მმ.

16. 08.06.2021წ. შუქურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ.

17. 13.06.2021წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 100მ. თვლის ზომა 32X32მმ.

18. 19.06.2021წ. მალთაყვის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ.

19. 21.06.2021წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 40მ. თვლის ზომა 26X26მმ.

20. 01.07.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, ასევე გრეიფუტის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. სიგრძე 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. სიგრძე 30მ. თვლის ზომა 30X30მმ.

21. 02.07.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. სიგრძე 20მ.

22. 03.07.2021 წ. ფოთი, ნაბადის, შუქურის და გრეიფუტის საზღვაო რაიონებში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 5 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 15მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ. 4. . სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ. 5. სიგრძე 30მ. თვლის ზომა 30X30მმ.

23. 08.07.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 50მ. თვლის ზომა 24X24მმ.

24. 09.07.2021წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 70მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ.

25. 15.07.2021წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 100მ. თვლის ზომა 34X34მმ.

26. 22.10.2021წ. მალთაყვის საზღვაო რაიონში, ზღვიდა მოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 30მ. თვლის ზომა 30X30მმ.

27. 30.10.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. სიგრძე 100მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3 სიგრძე 100მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. სიგრძე 100მ. თვლის ზომა 30X30მმ.

28. 30.10.2021წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ.

29. 03.12.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. თვლის ზომა 26მმ. სიმაღლე 4 მ. 2. თვლის ზომა 16 მმ. სიმაღლე 3,20 მ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. ხონთქარა - 33 კგ; 2. სტავრიდა - 8.5 კგ: 3. სმარიდა- 0, 600 კგ. 4 ბაცი ნაგვერდულა – 0,200 კგ; 5. ლუფარი - 0.500 კგ; 6. მერლანდი - 1 კგ.

30. 02.04.2022წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: თვლის ზომა 30მმ. სიმაღლე 3 მ.

31. 02.04. 2022წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: თვლის ზომა 18მმ. სიმაღლე 2.10მ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. მერლანგი - 4,500 კგ; 2. ქაშაყი - 0,150 კგ; 3. ქაფშია - 0,150 კგ.

ბადეების ამოღების ფაქტები დაფიქსირებულია აქტებით. ამოღების დროს ბადეებში ცოცხალმდგომარეობაში დაფიქსირებული დაჭერილი თევზი ადგილზევე დაუბრუნდა საარსებო გარემოს. უკანონო ბადეები განთავსდა შავი ზღვის დაცვის კონვენციურ სამმართველოში.

ამოღებულ უკანონო ბადეებს არ გააჩნდათ მესაკუთრეთა ვინაობის დამადასტურებელი რაიმე სარეგისტრაციო ან სხვა კერძო ნიშანი. ვერ დადგინდა თევზმჭერთა ვინაობა. ქონების უპატრონოდ ცნობამდე შეუძლებელია ამოღებული უკანონო ბადეების რეალიზაცია, რაც ხელს უშლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 341-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებელი მოითხოვს გაწყვეტილების გამოტანას თევზსაჭერი იარაღების, ასევე შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზის,

1. სტავრიდა - 100 გრ; ქაშაყი - 150 გრ; ხონთქარა - 380 გრ.
2. ბაცი ნაგვერდულა - 0,310 კგ; ქაშაყი - 0,380 კგ.
3. ლავრაკი - 1,950 კგ; ზღვის დრაკონი - 0,150 კგ; ბაცი ნაგვერდულა - 0.300 კგ; ქაშაყი - 0,150კგ;
4. ხონთქარა - 0.060კგ; ქაფშია - 0,090 კგ; სმარიდა - 1კგ; სტავრიდა - 0,580კგ.
5. ხონთქარა - 33 კგ; სტავრიდა - 8.5 კგ: სმარიდა- 0, 600 კგ. ბაცინაგცერდულა– 0,200 კგ. 5. ლუფარი - 0.500 კგ. 6. მერლანგი - 1 კგ.
6. მერლანგი - 4,500 კგ; ქაშაყი - 0,150 კგ; ქაფშია - 0,150 კგ.

უპატრონოდ ცნობისა და მათი სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 338-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელმა წარმოადგინა ქონების ჩამონათვალი, რომელიც ცნობილი უნდა იქნეს უპატრონოდ მათი განმასხვავებელი ნიშნებისა და მტკიცებულებების მითითებით, რომლითაც დგინდება მესაკუთრეთა მხრიდან ამ ქონების მიტოვების ფაქტი, ასევე მტკიცებულებების მითითებით იმის თაობაზე,რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახური არ დაუფლებია ისეთ ქონებას რომლის დაუფლების უფლებაც მას არ გააჩნდა და რომლის დაუფლებაც კანონით არ იკრძალება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს: იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ; განმცხადებლის ვინაობას; იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს; მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

კანონის დასახელებული ნორმის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს პუბლიკაციის გამოქვეყნება გაზეთ „ახალი თაობაში» ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს სხვა პირთა პრეტენზიის გამოვლენის მიზნით.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და**
**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში ''ახალი თაობა'' შემდეგი სახით:

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№2-4330/2022), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მიერ 2021 წლის 12 აპრილიდან 2022 წლის 2 აპრილის ჩათვლით ამოღებული იქნა ზღვაში უკანონოდ ჩადგმული შემდეგი თევზსაჭერი იარაღები, ასევე უკანონოდ მოპოვებული სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის თევზი:

1. 12.04.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 20მმ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. სტავრიდა - 100 გრ; 2. ქაშაყი - 150 გრ; 3.ხონთქარა - 380 გრ.

2. 13.04.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სამკედლა, სიგრძე 25მ. სიმაღლე 1,60მ. თვლის ზომა 250/36/250მმ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. ბაცი ნაგვერდულა - 0,310 კგ; 2. ქაშაყი - 0,380 კგ. 2. ორკედლა, სიგრძე 85 მ. სიმაღლე 2,60მ. თვლის ზომა 70/70მმ. 3. ერთკედლა, სიგრძე 72მ. სიმაღლე 1,80მ. თვლის ზომა 50მმ. 4. სიგრძე 320მ. სიმაღლე 3მ. თვლის ზომა 32მმ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. ლავრაკი - 1,950 კგ; 2. ზღვის დრაკონი - 0,150 კგ; 3. ბაცი ნაგვერდულა - 0.300 კგ; 4. ქაშაყი - 0,150კგ; 5. სმარიდა - 0,080კგ.

3. 14.04.2021წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სამკედლა, სიმაღლე 1,40მ. თვლის ზომა 120/22/120მმ.

4. 15.04.2021წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიმაღლე 2მ. თვლის ზომა 145მმ. 2. სიმაღლე 1,90მ. თვლის ზომა 20მმ.

5. 19.04.2021წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიმაღლე 1,70მ. თვლის ზომა 145მმ.

6. 22.04.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 130მ. სიმაღლე 1,70მ. თვლის ზომა 18მმ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. ხონთქარა - 0.060კგ; 2. ქაფშია - 0,090 კგ; 3. სმარიდა - 1კგ; 4. სტავრიდა - 0,580კგ.

7. 04.05.2021წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 100მ. თვლის ზომა 130X130მმ.

8. 07.05.2021წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 40მ. თვლის ზომა 24X24მმ.

9.11.05.2021წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 150მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. სიგრძე 60მ. თვლის ზომა 24X24მმ.

10. 13.05.2021წ. მალთაყვისა და შუქურის საზღვაო რაიონებში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ.

11. 26.05.2021წ. შუქურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. სიგრძე 20მ. თვლის ზომა 24X24მმ.

12. 27.05.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ.

13. 27.05.2021წ. შუქურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. სიგრძე 70მ. თვლის ზომა 30X30მმ.4. სიგრძე 70მ. თვლის ზომა 30X30მმ.

14. 04.06.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სამკედლა, თვლის ზომა 150/18/150მმ.

15. 07.06.2021წ. მალთაყვის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 450მ. თვლის ზომა 30X30მმ.

16. 08.06.2021წ. შუქურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ.

17. 13.06.2021წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 100მ. თვლის ზომა 32X32მმ.

18. 19.06.2021წ. მალთაყვის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ.

19. 21.06.2021წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 40მ. თვლის ზომა 26X26მმ.

20. 01.07.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, ასევე გრეიფუტის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. სიგრძე 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. სიგრძე 30მ. თვლის ზომა 30X30მმ.

21. 02.07.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 50მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. სიგრძე 20მ.

22. 03.07.2021 წ. ფოთი, ნაბადის, შუქურის და გრეიფუტის საზღვაო რაიონებში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 5 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 15მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ. 4. . სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ. 5. სიგრძე 30მ. თვლის ზომა 30X30მმ.

23. 08.07.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 50მ. თვლის ზომა 24X24მმ.

24. 09.07.2021წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 70მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. სიგრძე 40მ. თვლის ზომა 28X28მმ.

25. 15.07.2021წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 100მ. თვლის ზომა 34X34მმ.

26. 22.10.2021წ. მალთაყვის საზღვაო რაიონში, ზღვიდა მოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 30მ. თვლის ზომა 30X30მმ.

27. 30.10.2021წ. ნაბადის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. სიგრძე 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. სიგრძე 100მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3 სიგრძე 100მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. სიგრძე 100მ. თვლის ზომა 30X30მმ.

28. 30.10.2021წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: სიგრძე 50მ. თვლის ზომა 28X28მმ.

29. 03.12.2021წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. თვლის ზომა 26მმ. სიმაღლე 4 მ. 2. თვლის ზომა 16 მმ. სიმაღლე 3,20 მ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. ხონთქარა - 33 კგ; 2. სტავრიდა - 8.5 კგ: 3. სმარიდა- 0, 600 კგ. 4 ბაცი ნაგვერდულა – 0,200 კგ; 5. ლუფარი - 0.500 კგ; 6. მერლანდი - 1 კგ.

30. 02.04.2022წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: თვლის ზომა 30მმ. სიმაღლე 3 მ.

31. 02.04. 2022წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, 1 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: თვლის ზომა 18მმ. სიმაღლე 2.10მ. ბადეში მკვდარ მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზი: 1. მერლანგი - 4,500 კგ; 2. ქაშაყი - 0,150 კგ; 3. ქაფშია - 0,150 კგ.

განმცხადებელი მოითხოვს თევზსაჭერი იარაღების, შემდეგი სახეობისა და რაოდენობის თევზის

1. სტავრიდა - 100 გრ; ქაშაყი - 150 გრ; ხონთქარა - 380 გრ.
2. ბაცი ნაგვერდულა - 0,310 კგ; ქაშაყი - 0,380 კგ.
3. ლავრაკი - 1,950 კგ; ზღვის დრაკონი - 0,150 კგ; ბაცი ნაგვერდულა - 0.300 კგ; ქაშაყი - 0,150კგ;
4. ხონთქარა - 0.060კგ; ქაფშია - 0,090 კგ; სმარიდა - 1კგ; სტავრიდა - 0,580კგ.
5. ხონთქარა - 33 კგ; სტავრიდა - 8.5 კგ: სმარიდა- 0, 600 კგ. ბაცინაგცერდულა– 0,200 კგ. 5. ლუფარი - 0.500 კგ. 6. მერლანგი - 1 კგ.
6. მერლანგი - 4,500 კგ; ქაშაყი - 0,150 კგ; ქაფშია - 0,150 კგ.

უპატრონოდ ცნობას და მათი სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას.

3. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი საქონლის უპატრონოდ ცნობაზე, რომელთა უპატრონოდ ცნობასაც მოითხოვს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. 30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

4. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შე სახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

5. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე** — **ხათუნა ბოლქვაძე**

# პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

სამართალდამცავებმა თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს, 5 პირი დააკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ნივთმტკიცებად უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალაა ამოღებული.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და აჭარაში 5 პირი დააკავეს, ნივთმტკიცებად ამოიღეს უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისან-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1980 წელს დაბადებული მ.გ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა მ.გ. ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 11 ვაზნა.



ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით არის დაკავებული 1999 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ს.ა, რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად, გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს კუსტარული წესით დამზადებული ცეცხლსასროლი პისტოლეტი.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1974 წელს დაბადებული ზ.ღ. დააკავეს. მას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა ედება ბრალად. სამართალდამცველებმა ხაშურის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსოებში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: „აკ 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 100 ვაზნა, 3 მჭიდი, ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“, ასევე, „მარიხუანა“ ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა კი, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოში შემოტანის ფაქტი გამოავლინეს. პოლიციამ 1989 წელს დაბადებული ა.ბ. აღნიშნული დანაშაულისთვის ხელვაჩაურში დააკავა. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის მართვის ქვეშ არსებული მიკროავტობუსის შემოწმების შედეგად, რევოლვერები, 12 ვაზნა და ცეცხლსასროლი იარაღის დეტალები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 214-ე, 260-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# შს მინისტრის მოადგილე: „გასულ წელს და წელს ნარკორეალიზატორების დაკავების უპრეცედენტო რაოდენობა გვაქვს“



– გასულ წელს და წელს ნარკორეალიზატორების დაკავების უპრეცედენტო რაოდენობა გვაქვს, 132-ზე მეტი პირია დაკავებული და ჩვენ უკომპრომისო ბრძოლას ვუცხადებთ ნარკოგამსაღებლებს, – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა.

ალექსანდრე დარახველიძის ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უპრეცედენტო რაოდენობის ნარკოტიკია ამოღებული.

– ძალიან მნიშვნელოვანია ნარკორეალიზატორებთან ბრძოლა, ჩვენ ამაზე გავაკეთეთ განცხადება. შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო ინიციატორი საკანონმდებლო ცვლილებების, რომლითაც 10 წლიდან იწყება თავისუფლების აღკვეთა ნარკოგამსაღებლის წინააღმდეგ, როდესაც ის ამ ქმედებას ჩაიდენს. გარდა ამისა, გასულ წელს და წელს ნარკორეალიზატორების დაკავების უპრეცედენტო რაოდენობა გვაქვს.

132-ზე მეტი პირია დაკავებული და ჩვენ უკომპრომისო ბრძოლას ვუცხადებთ ნარკოგამსაღებლებს. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უპრეცედენტო რაოდენობის ნარკოტიკია ამოღებული და ეს იმ პირობებში, როდესაც, ნარკორეალიზატორი რომ პასუხისგებაში მიეცეს, საჭიროა ძალიან მაღალი დონის მტკიცებულებები, მათ შორის, გადაღებული ფაქტი უშუალოდ ნარკოტიკის გასაღების და ა.შ. ჩვენ ამ მტკიცებულებითი სტანდარტის პირობებში მოვახერხეთ 132 პირზე მეტის პასუხისგებაში მიცემა, რაც, ვფიქრობ, რომ ჩვენს ეფექტურობაზე მიუთითებს, – აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

# ადვოკატი: „სოსო გოგაშვილის თქმით, ბრალის დამძიმების შესახებ ინფორმაცია მაშინ მიიღო, როცა ვახტანგ გომელაურს ესაუბრებოდა“

ადვოკატის განცხადებით, სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი აღნიშნავს, რომ ბრალის დამძიმების შესახებ ინფორმაცია მაშინ მიიღო, როცა შს მინისტრ ვახტანგ გომელაურს ესაუბრებოდა.



როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში გოგაშვილის ადვოკატი დიმიტრი ღონღაძე აცხადებს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია მას დაკავებისას ელექტრონული მოწყობილობებით „ჩაუდეს“.

– ბრალდებას ორი ახალი მუხლი დაემატა, ეს არის სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა. აღნიშნულს იოსებ გოგაშვილი აბსურდულს უწოდებს და ამბობს, რომ ეს ინფორმაციები მას 16 ივლისს, დაკავებისას, რასაც ის სპეცოპერაციას უწოდებს, სახლში „ჩაუდეს“. ამაზე არაერთი საჩივარი გვაქვს წარდგენილი და გამოძიებაც მიმდინარეობს. ამბობს, რომ ეს ინფორმაციები ელექტრომოწყობილობებით მოიტანეს და „ჩაუდეს“.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ დაადეს, პროკურატურამ დამატებით ბრალთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა და ბრალის ფორმულირება საჯაროდ გაავრცელა, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ხელყოფას შეეხება, რომ თითქოს, იოსებ გოგაშვილი საცხოვრებელ სახლში აღნიშნულ ინფორმაციას ინახავდა. ამით ცდილობენ შავი ლაქა მოსცხონ იოსებ გოგაშვილს, სანქცია იგივეა, რაც სხვა მუხლებზეა, უბრალოდ, ამით ცდილობენ მორალურად დააზიანონ იოსებ გოგაშვილი.

გარდა ამისა, ის ამბობს, მე ბრალის დამძიმების შესახებ მივიღე ინფორმაცია, როცა ვახტანგ გომელაურს ვესაუბრებოდი, რომელმაც მითხრა, რომ მდგომარეობა დამიმძიმდებოდაო. შეასრულეს და მეორე მხრივ, ბრალი ისეთ მუხლში დასდეს, რომელიც მორალურად გასაკიცხი საქციელია, – განაცხადა ღონღაძემ.

ცნობისთვის, 11 ოქტომბერს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილე სოსო გოგაშვილს ბრალი დაუზუსტდა. მას ახალი ბრალდება სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურების და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტებზე წარედგინა.

# შსს-მ წალენჯიხის მერის, გია ხარჩილავას ავტომანქანის დაწვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო



წალენჯიხის მერის, გია ხარჩილავას კუთვნილი ავტომანქანის დაწვის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

შეგახსენებთ, წალენჯიხის მერის, გია ხარჩილავას განცხადებით, გვიან ღამით მის საცხოვრებელ სახლთან პირადი ავტომობილი დაუწვეს. მისივე თქმით, ფაქტი დაახლოებით, 03:30 საათზე მოხდა.

# „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილ ე.წ. გაგრის ჯგუფის სამ წევრს 9-9 წლით პატიმრობა შეეფარდა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილი, ე.წ. გაგრის ჯგუფის სამი წევრი სასამართლომ ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობაში, მძევლად ხელში ჩაგდებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვაში დამნაშავედ ცნო.



ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

– სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულებმა 1999 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოქალაქეთა მკვლელობის მცდელობა ჩაიდინეს. ასევე, ბრალდებულებმა ყაჩაღური თავდასხმის გზით მოქალაქეებს გასტაცეს პირადი ნივთები და ძვირფასეულობა. გარდა ამისა, ე.წ. „გაგრის ჯგუფის“ წევრებმა, გალის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა პირებს, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და მძევლად აიყვანეს, რის შემდგომაც ოჯახის წევრებისგან მათ გასათავისუფლებლად მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა.

მათ ბრალდება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვის, განზრახ მკვლელობის მცდელობის, ყაჩაღობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტებზე წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ, რის შემდეგ მათ მიმართ გამოცხადდა ძებნა.

სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მათ საბოლოოდ განესაზღვრათ 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამივე ბრალდებული შეტანილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობაში, გატაცებაში, წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, აგრეთვე ამ დანაშაულთა დაფარვაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# „დედაშენს კბილებს ჩავულეწავდი...“



„დედაშენს კბილებს ჩავულეწავდი, მოვალ, პასუხს ადგილზე გაგცემთ“ – დედაშენს კბილებს ჩავულეწავდი, მოვალ, შენ თუ გგონია, ნატოსი ეხლაც მეშინია, ძაან ცდებით! მოვალ, რამე თუ არ მომეწონა, პასუხს ადგილზე გაგცემთ, ძაან მზრუნველი ბებიობა რომ უნდა, სადილი გააკეთოს სახლში, – ნელი დოროყაშვილის ეს მუქარის შემცველი SMS შეტყობინება ნიკა ბასილაშვილის ტელეფონში გამომძიებლებმა დათვალიერებისას აღმოაჩინეს.

სკანდალურ SMS-ს ნეკა დოროყაშვილი ყოფილ მეუღლეს განქორწინების შემდეგ წერს.

NewPost-ი სრულ ვერსიას ვერ აქვეყნებს იმ მიზეზით, რომ ნელი დოროყაშვილი მცირეწლოვან შვილზეც საუბრობს, ჩვენ ვითვალისწინებთ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესს და სრულად არ ვასაჯაროებთ მიმოწერას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნელი დოროყაშვილი თავს მსხვერპლად მიიჩნევს და ყოფილ მეუღლეს და მისი ოჯახის წევრებს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს, თუმცა, ამ მიმოწერიდან ირკვევა, რომ მსხვერპლი თავად გამოთქვამს სურვილს, საკუთარ დედამთილზე ფიზიკურად იძალადოს და ყოფილ მეუღლეს დედაზე ანგარიშსწორებით ემუქრება...

# ვინ არიან ქართველები, რომლებიც პოლონეთში ქურდობისთვის დააკავეს

ვარშავაში საქართველოს სამ მოქალაქეს ასამართლებენ.




მათ ძარცვასა და ორგანიზებული დანაშაულის ჩადენას ედავებიან. სამივე დაკავებულს ადგილობრივმა პროკურატურამ ბრალი უკვე წარუდგინა.

ქართველები ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან ფულით სავსე სეიფის გატაცებას უჩვეულო მეთოდით ცდილობდნენ.

სამივე დაკავებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდანაა.

ახლობლების ინფორმაციით, ნოშრევან კუტალია, მალხაზ ბაგათელია და ლევან ოთხოზორია პოლონეთში სამუშაოდ არიან წასულები.

ნათესავებსა და მეზობლებს მომხდარის დეტალებზე ინფორმაცია არ აქვთ.

# ჩეხეთი რუსებს ქვეყანაში შესვლას უკრძალავს



ჩეხეთის მთავრობის დღევანდელი გადაწყვეტილებით, ქვეყანა რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო შეზღუდვებს აძლიერებს. ამის შესახებ ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება.

– მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში რუსული რაკეტები ეცემა სათამაშო მოედნებსა და ადამიანებზე, რომლებიც უბრალოდ სამსახურში დადიან, რუსეთის ფედერაციის 200-მდე მოქალაქე ყოველდღიურად ჩეხეთში ჩადის საერთაშორისო აეროპორტის გავლით, – განაცხადა ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იან ლიპოვსკიმ და დასძინა: „ამიტომ ჩვენ შევთანხმდით, რომ რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც შედიან ჩეხეთის ტერიტორიაზე შენგენის გარე საზღვრებით – კერძოდ კი, ჩვენი საერთაშორისო აეროპორტით – ტურიზმის, სპორტის ან კულტურის მიზნით, ქვეყანაში შესვლა აეკრძალებათ, – განაცხადა მინისტრმა.

მისი განმარტებით, ეს გადაწყვეტილება ძალაში 25 ოქტომბერს შევა და გავრცელდება რუს მოგზაურებზე, რომლებსაც აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული მოქმედი შენგენის ვიზა.

ამრიგად, ჩეხეთი შეუერთდა ბალტიისპირეთის ქვეყნებს, პოლონეთს და ფინეთს, რომლებმაც წინა კვირებში რუსი ტურისტებისთვის საზღვრები ჩაკეტეს.

# ბენ უოლესი: „პუტინს უკანა ჯიბეში მილიონობით ადამიანი ჰყავს“



პუტინს უკანა ჯიბეში მილიონობით ადამიანი ჰყავს, რომლებიც ხორცსაკეპ მანქანაში შეუძლია ჩატენოს, – ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მინისტრმა ბენ უოლესმა Evening Standard-თან ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უკრაინაში მისი არმიის წარუმატებლობათა სერიის შემდეგ აღმოაჩინა, რომ რუსეთი ზესახელმწიფო არ არის.

– ამის ერთი ნაწილია ის, რომ თავად დაიჯერე საკუთარი ქება-დიდებისა, დაიჯერე საკუთარი აღლუმებისა, სააღლუმო მოედანზე ტანკებს ითვლიდი და ჩათვალე, რომ დაუმარცხებელი ხარ, მაგრამ არ ხარ, – დასძინა უოლესმა.

მისი აზრით, რუსეთის ძალები უკრაინაში „მათი სამხედრო შესაძლებლობებისა“ და მათი მეთაურობის მცდარი „სტრატეგიული დაშვებების“ გამო მარცხდებიან.

– ყოველ ნაბიჯზე ხალხი საკმარისად არ აფასებდა უკრაინას და ზედმეტად აფასებდა რუსეთს. თუმცა მას (პუტინს) უკანა ჯიბეში მილიონობით ადამიანი ჰყავს, რომლებიც შეუძლია ხორცსაკეპ მანქანაში ჩატენოს წესების გარეშე, ადამიანთა სიცოცხლისთვის, უდანაშაულო ადამიანებისთვისა და მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ანგარიშის გაწევის გარეშე, – აღნიშნა გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, რომ რუსეთისთვის ეს წარმატებით დამთავრდეს, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში „მთელს მსოფლიოში მესიჯი გაიგზავნება, რომ ომები ასე უნდა მოიგო“.

უოლესის თქმით, ინიციატივა ჯერ კიდევ უკრაინელებს აქვთ, ხოლო რუსეთი კატასტროფული მორალის, ცუდი აღჭურვილობის, საბრძოლო მასალის საგრძნობი დეფიციტისა და პოლიტიკური სისუსტის წინაშე დგას.

– მისი (პუტინის) სტრატეგიული ვარაუდები ყველა მხრივ მცდარი ჩანს. გუშინაც კი, შეზღუდული რაოდენობის რაკეტების შემთხვევით სამოქალაქო ლოკაციებზე სროლა, როდესაც ისინი სამხედრო სამიზნეებს უნდა ესროლო, არ არის შეზღუდული რესურსების სტრატეგიული ან ჭკვიანური გამოყენება, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

# კელი დეგნანი: „ყირიმის ხიდთან დაკავშირებით „ბევრი სპეკულაციაა“




საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი აცხადებს, რომ ყირიმის ხიდთან დაკავშირებით „ბევრი სპეკულაციაა“.

ელჩის თქმით, აშშ საქართველოს საბაჟოსთან, საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან და სანაპირო დაცვასთან ათწლეულებია მუშაობს, რათა დაიცვან საკუთარი საზღვრები და შეაჩერონ აგრესია.

– ამ რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის გარეშეც ბევრი სპეკულაციაა, თუმცა ზუსტი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, არავის აქვს. ჩვენ ვმუშაობთ საქართველოს საბაჟოსთან, საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან და სანაპირო დაცვასთან უკვე ათწლეულებია და უზრუნველვყოფთ მათ ყველანაირი შესაძლებლობით, აღჭურვილობით, სწავლებებით და ტრენინგით, რომ დაიცვან საკუთარი საზღვრები, შეაჩერონ აგრესია და ამ თანამშრომლობას გავაგრძელებთ, – აღნიშნა დეგნანმა.

შეგახსენებთ, რომ რუსული მედიის ინფორმაციით, ყირიმის ხიდზე განხორციელებული ტერაქტის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით 8 ადამიანია დაკავებული, მათგან ხუთი რუსეთის, სამი კი – უკრაინისა და სომხეთის მოქალაქეა. ინფორმაციას რუსული მედია რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალურ სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

– ყირიმის ხიდზე ტერაქტის ორგანიზატორი იყო უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველო, მისი უფროსი კირილ ბუდანოვი, თანამშრომლები და აგენტები. ასაფეთქებელი მოწყობილობა რულონებში იყო შენიღბული, სამშენებლო პოლიეთილენის ფირით 22 პალეტზე, რომლის საერთო წონა 22.770 კილოგრამს შეადგენდა, – აცხადებენ უწყებაში.

რუსული მედიის ცნობით, აგვისტოს დასაწყისში ტვირთი გაიგზავნა ოდესის პორტიდან ბულგარეთის რუსეთის პორტში, ბულგარეთიდან ტრანსპორტირება საქართველოს ფოთის პორტში, შემდეგ კი სომხეთში გაგრძელდა.

– გადატანაში მონაწილეობდნენ უკრაინის მოქალაქეები მიხაილ ციურკალო, დენის კოვაჩი, რომან სოლომკო, საქართველოს მოქალაქეები სანდრო ინასარიძე, ბროკერი სახელად ლევანი და სომხეთის მოქალაქე არტურ ტერჩანიანი, – წერს რუსული მედია.

მათივე ცნობით, 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით, ერევანში, ტრანსალიანსის ტერმინალში, ტვირთი განაბაჟეს, შემდეგ კი საქართველოში რეგისტრირებული DAF-ის სატვირთო მანქანით, ტვირთმა რუსეთ-საქართველოს საზღვარი 4 ოქტომბერს ზემო ლარსის საგუშაგოზე გადაკვეთა, ორი დღის შემდეგ კი არმავირის საბითუმო ბაზაზე მიიტანეს და გადმოტვირთეს.

მედიის ინფორმაციით, 7 ოქტომბერს უკრაინისა და რუსეთის მოქალაქეების დახმარებით, ტვირთის საბუთები კვლავ შეიცვალა, გამგზავნად მიუთითეს შპს TEK-34 ულიანოვსკიდან, ხოლო მიმღებად – ყირიმში არარსებული კომპანია.

– იმავე დღეს, პალეტები რუსეთის მოქალაქის, 1971 წელს დაბადებული მახირ იუსუბოვის სატვირთო მანქანაში ჩატვირთეს, ხოლო 2022 წლის 8 ოქტომბერს, დილის 06:03 საათზე ყირიმის ხიდზე გადაკვეთისას აფეთქება განხორციელდა, – აცხადებენ რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალურ სამსახურში.

# კრემლში აცხადებენ, რომ რუსეთი არასდროს ამბობს უარს მოლაპარაკებებზე



რუსეთი არასოდეს ამბობს უარს მოლაპარაკებაზე, მაგრამ თუ მის პარტნიორებს არ სურთ კონტაქტი, მაშინ არც მოსკოვი მოახვევს თავის სურვილს. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწემ იური უშაკოვმა აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის სიტყვებზე კომენტირებისას განაცხადა.

– რაც შეეხება ბაიდენის განცხადებებს, რომ ის ვერ ხედავს შეხვედრის აზრს, შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთი არასოდეს იტყვის უარს მოლაპარაკებებზე და რაიმე სასარგებლო საერთაშორისო კონტაქტებზე. ჩვენ არასდროს ვამბობთ უარს. თუ ვგრძნობთ და გვესმის, რომ პარტნიორს ამა თუ იმ მიზეზით არ სურს კონტაქტი, ჩვენ მას არ ვახვევთ საკუთარ თავს, – განუცხადა უშაკოვმა ჟურნალისტებს.

სააგენტოს ინფორმაციით, ჯო ბაიდენმა მანამდე განაცხადა, რომ ამ მომენტში ის აზრს ვერ ხედავს რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკებები გამართოს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ქურაშის ოთხთავს რესტავრაცია ჩაუტარდება



მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის თემის სოფელ ქურაშში წმინდა გიორგის ტაძარში დაბრძანებულ XII საუკუნის ხელნაწერ სახარებას, ქურაშის ოთხთავს, რესტავრაცია ჩაუტარდება. ეცერის თემის წარმომადგენლებსა და ეროვნულ არქივს შორის მიღება-ჩაბარების აქტი უკვე გაფორმდა, რომლის ხელმომწერებიც, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, სოფლისა და მუნიციპალიტეტის, ასევე, სვანეთის წარმომადგენლები არიან. აქტის თანახმად, ოთხთავს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნულ არქივში ჩაუტარდება სარესტავრაციო პროცედურები და 18 თვის შემდეგ კვლავ ტაძარს დაუბრუნდება. ეს ქრისტიანული კულტურისთვის ფასეული ტექსტის რესტავრაციის უკვე მეორე მნიშვნელოვანი შემთხვევა იქნება მას შემდეგ, რაც 2020-2021 წლებში რესტავრაცია წარმატებით ჩაუტარდა ლახამულის XII საუკუნის ოთხთავს.

სოფელ ქურაშში წმინდა გიორგის ტაძრიდან XII საუკუნის ოთხთავის გამობრძანებას, სიწმინდის მცველებთან და თემის წარმომადგენლებთან ერთად, ოფიციალური პირები და ეცერის თემისა და სვანეთის გამორჩეული მკვიდრნი ესწრებოდნენ.

ქურაშის სახარებას აქამდე არასდროს დაუტოვებია ქურაშის წმინდა გიორგის ეკლესია. ის ადგილობრივების უდიდესი მოწიწებისა და ზრუნვის საგანია. მიუხედავად ამისა, ხელნაწერი ამჟამად საჭიროებს სრულ განახლებას თანამედროვე და მსოფლიოში დამკვიდრებული მეთოდების გამოყენებით. მხარეებს შორის არსებული ნდობისა და საერთო მიზნის გათვალისწინებით, ხელნაწერ სახარებას დედაქალაქში ჩაუტარდება ყველა საჭირო სარესტავრაციო ღონისძიება, რათა ის სვანეთმა საქართველოსთვის კვლავ ღირსეულად შეინახოს.

ეს უკვე მეორე პრეცედენტია. საქართველოს ისტორიაში პირველად, 2020 წლის 26 მაისს მოხდა ლახამულის ოთხთავის ეროვნულ არქივში გადმობრძანება. უნიკალური ხელნაწერის რესტავრაცია 18 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ეროვნული არქივის შენობაში და მასზე საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის თანამშრომლები მუშაობდნენ. რესტავრირდა სახარების ეტრატის ფურცლები, რომლებზეც დატანილია სხვადასხვა შინაარსის 22 მინაწერი. ფურცლები დარბილდა, მოშორდა მიწის ნაწილაკები და სანთლის ნაღვენთები, აიკინძა ძველი წესით და მოთავსდა ტყავის ყდაში. რესტავრაციისას სახარების ძველი ჭედური ყდის ქვეშ აღმოჩნდა წმინდა გიორგის ხატი, რომელიც, სახარებასთან და აღნიშნულ ყდასთან ერთად, ლახამულაში დაბრუნდა. განახლებული ლახამულის ოთხთავის სვანეთში, წმინდა გიორგის ტაძარში საზეიმოდ დაბრუნება და დაბრძანება განსაკუთრებულ თარიღს, გასული წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულს, სიმბოლურად დაუკავშირდა.

# დათა ფირცხალავას ფილმის მსოფლიო პრემიერა ტორონტოს კინოფესტივალზე შედგა

ქართველი რეჟისორის დათა ფირცხალავას ფილმის „დიდი შესვენება“ მსოფლიო პრემიერა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმატებით გაიმართა.

ფესტივალის აუდიტორიამ ფილმი ორჯერ იხილა. კიდევ ერთ ჩვენებას საერთაშორისო პრესის წარმომადგენლები დაესწრნენ. დავით ფირცხალავას „დიდი შესვენება“ წარმოდგენილია სექციაში „აღმოჩენები“.

„დიდი შესვენება“ რეჟისორის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. კომისიის გადაწყვეტილებით, „დიდი შესვენება“ ამერიკის კინოაკადემიის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ნომინაციაზე საქართველოს კანდიდატი ფილმია.

ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კინოღონისძიებაა, რომელიც კანადაში 1976 წლიდან იმართება და მისი სტუმრები მსოფლიოში ცნობილი ადამიანები არიან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ცოლის თხოვნით მაღაზიაში წასული მამაკაცი ლატარიის გამარჯვებული გახდა



ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ მარკეტის მკვიდრი მამაკაცი, ცოლის თხოვნით მაღაზიაში პროდუქტების საყიდლად წავიდა და ლატარიაში ჯეკპოტის მოხსნით გამდიდრდა.

46 წლის პრესტონ მაკის თქმით, ის ლატარიის ბილეთს არ იყიდიდა, ცოლს პროდუქტების საყიდლად მაღაზიაში შევლა, რომ არ ეთხოვა. ამიტომ თვლის, რომ სწორედ მან მოუტანა სიმდიდრე.

– როდესაც სამუშაო დღეს ვასრულებდი, ცოლმა გამომიგზავნა შეტყობინება, რომელშიც მთხოვდა, მაღაზიაში შემევლო და პროდუქტები მეყიდა. ჩვეულებრივ ლატარიას არ ვთამაშობ, თუ საპრიზო თანხა 200 ათას დოლარს არ აღემატება, მაგრამ ამ ჯერად ჯეკპოტი სწორედ ამ თანხასთან იყო მიახლოებული და ლატარიის ბილეთის ყიდვა გადავწყვიტე, – განმარტა გათამაშების გამარჯვებულმა.

მამაკაცმა ლატარიის ბილეთი მეორე დღეს შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ მისმა მოგებამ 190,7 ათასი დოლარი შეადგინა. ის მოგებული თანხის ნაწილის ოჯახის წევრებისთვის განაწილებას, ხოლო მეორე ნაწილის ინვესტიციაში დაბანდებას გეგმავს.

### განძის მაძიებელმა 380 ვერცხლისა და ოქროს მონეტა იპოვა



დიდ ბრიტანეთში მოყვარულმა განძის მაძიებელმა 380 ძველებური მონეტა იპოვა.

27 წლის პროფესიით ინჟინერმა ჯონ რენდლმა განძის მაძიებლობას ლითონმაძიებელი ხელსაწყოს შეძენის შემდეგ მიჰყო ხელი. განძის პოვნის პირველი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მან მხოლოდ რამდენიმე დაჟანგებული ლურსმანი და კარაქის საჭრელი დანა იპოვა.

მეორე ჯერზე მოყვარულ განძის მაძიებელს უფრო მეტად გაუმართლა და ინგლისის რევოლუციის დროს გადამალულ მონეტებით სავსე ქოთანს გადააწყდა.

– ეს არის სუფთა ვერცხლის მონეტები და ერთიც ოქროსი. პირდაპირ საოცრებაა, 400 წელი მათ არავინ მიჰკარებია, – აღნიშნა რენდლმა.

ინგლისელმა ნაპოვნი განძი კორონერს გადასცა, რომელიც გადაწყვეტს, მონეტები მუზეუმში გამოიფინება თუ გაიყიდება და რა ანაზღაურებას მიიღებს რენდლი.

### პაბის მფლობელმა ქალმა ქმარზე ეჭვიანობის გამო ოფიციანტ გოგონას დანა დაარტყა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა 47 წლის ლუიზა სანტოსმა საკუთარ ქმარზე, მზარეულ პედროზე ეჭვიანობის ნიადაგზე დანით დაჭრა ოფიციანტი გოგონა.

პაბის მფლობელმა ლუიზამ მეუღლის გამო 18 წლის ოფიციანტ ჰანა პრიტჩეტზე მას შემდეგ იეჭვიანა, როდესაც პედრომ ხმამაღლა წამოიძახა მისი სახელი. ქალმა გადაწყვიტა, რომ მის ქმარს და ოფიციანტ გოგონას სექსი ჰქონდათ. ის დაელოდა, სანამ ჰანა მარტო დარჩებოდა, აიღო დანა და ორჯერ ჩაარტყა მას მარცხენა ფერდში. შედეგად ჰანამ ორი ნაკვეთი ჭრილობა მიიღო.

ამ ინციდენტის შედეგად ლუიზა დააპატიმრეს. მან დანაშაული, განზრახ დაზიანების მიყენება აღიარა და ახლა განაჩენს ელოდება. საქმის სასამართლო განხილვაზე ლუიზა ამტკიცებდა, რომ ჰანა სამზარეულოში შესვლის დროს ყოველთვის მის მეუღლესთან მიახლოვებას ცდილობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რუდიგერის სისხლიანი გოლი და იუვენტუსის კოშმარი



**ე ჯგუფი**

**მილანი-ჩელსი 0:2**

0:1 ჟორჟინიო (21პ), 0:2 ობამეიანგი (34)

**გაძევება:** ტომორი (მილანი)

ლონდონის ჩელსიმ, რომელმაც ტურნირი ცუდად დაიწყო, 2 ტურში მხოლოდ ქულა ჰქონდა, ჯავრი მილანზე იყარა და ერთ კვირაში ზედიზედ მეორე თამაში მოუგო.

ლონდონელებმა ამჯერად 2:0 იმარჯვეს, მაგრამ მსაჯიც წაეხმარათ. მე-18 წუთზე ტომორი ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს და მილანის კარში პენალტიც დაინიშნა. ჯორჟინიომ 11 მეტრიდან შეაგდო და მერე ჩელსის საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებია.

ახლა რთულ მდგომარეობაში უკვე მილანია...

**დინამო (ზ)-ზალცბურგი 1:1**

0:1 ზაივალდი (12), 1:1 ლიუბიჩიჩი (40)

ზალცბურგი იგებდა და ფლეი ოფთან ძალიან ახლოსაც იქნებოდა, მაგრამ ზაგრებელებმა ოცნება დიდხანს არ აცადეს და ზაივალდის გოლი ლუბიჩიჩმა მალევე გაქვითა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 2.ზალცბურგი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| 3.მილანი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 4.დინამო (ზ) | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |

**ფ ჯგუფი**

**შახტარი-რეალი 1:1**

1:0 ზუბკოვი (46, 1:1 რუდიგერი (90)

ვარშავაში სენსაციურ მარცხს მადრიდის რეალი მე-5 დამატებულ წუთზე გადაურჩა. შახტარი ზუბკოვის გოლით იგებდა, მაგრამ ანტონიო რუდიგერმა თავგანწირულად ითამაშა, გოლის მომენტში მეკარეს შეეჯახა და ისე გაიტანა. ქულის გადამრჩენი გოლი მაინც გაიტანა. რუდიგერს მატჩის შემდეგ 20 ნაკერი დაადეს.

რეალი უკვე ფლეი ოფშია, რადგან კალენდრიდან გამომდინარე, სხვაგვარად შეუძლებელია.

**სელტიკი-ლაიპციგი 0:2**

0:1 ვერნერი (75), 0:2 ფორსბერგი (84)

რეალის გარდა მეორე გამსვლელი ადგილისთვის შახტართან ერთად ლაიფციგიც იბრძვის. გერმანულმა გუნდმა სტუმრად 2:0 მოუგო სელტიკს და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა.

ლაიფციგს ტიმო ვერნერმა მოაგებინა, რომელმაც ჯერ თავად გაიტანა, ხოლო შემდეგ ემილ ფორსბერგს გაატანინა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 2.ლაიფციგი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 3.შახტარი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-5 | 5 |
| 4.სელტიკი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |

**ჯ ჯგუფი**

**კოპენჰაგენი-სიტი 0:0**

**გაძევება:** გომესი (სიტი)

ფლეი ოფის კიდევ ერთი მონაწილე მანჩესტერ სიტია. არადა, პეპ გვარდიოლას გუნდმა მოკრძალებულ კოპენჰაგენს ვერ მოუგო – 0:0. თუმცა, დიდი დროის მანძილზე მოედანზე კაცნაკლული იყო.

დანიურ გუნდში კი დავით ხოჭოლავამ მინდორზე 80 წუთი გაატარა და კარგადაც ითამაშა. ქართველ მცველს შეცდომები არ ჰქონია და მეკარის შემდეგ ყველაზე კარგი შეფასება დაიმსახურა. მეკარემ რომ უკეთესი მაჩვენებელი მიიღო, საკამათოც არაფერია – სიტის პირველ ტაიმში პენალტი აუღო.

**დორტმუნდი-სევილია 1:1**

0:1 ნიანზუ (18), 1:1 ბელინგემი (35)

ამავე ჯგუფში მეორე მატჩი სიტისთვის ხელსაყრელი შედეგით დასრულდა, რომელშიც დორტმუნდმა და სევილიამ ქულები გაიყვეს და მანჩესტერული კლუბი მიუწვდომელი გახდა.

მეორე საგზური წესით დორტმუნდს უნდა დარჩეს, რომელიც უშუალო კონკურენტებს ხუთი ქულით უსწრებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-1 | 10 |
| 2.დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 7 |
| 3.სევილია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-9 | 2 |
| 4.კოპენჰაგენი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-8 | 2 |

**ჰ ჯგუფი**

**პსჟ-ბენფიკა 1:1**

1:0 მბაპე (40პ), 1:1 ჟოაო მარიო (62პ)

პსჟ-მ ბენფიკას ვერც მეორე მატჩი მოუგო. როგორც ლისაბონში, პარიზშიც ისევ ფრე (1:1) დაფიქსირდა. კილიან მბაპემ და ჟოაო მარიომ პენალტები გაცვალეს.

პრინციპში, ეს ანგარიში ორივე გუნდს აწყობდა. დიდი ალბათობით, ფლეი ოფშიც ხელჩაკიდებული გავლენ.

**მაქაბი-იუვენტუსი 2:0**

1:0, 2:0 ატცილი (7, 42)

პირველივე ტაიმში ისრაელის ჩემპიონმა ტურინელებს ორი გოლი გაუტანა, მერე უკან დაიხია და თავი ისე დაიცვა, რომ მეტოქეს რეალური მომენტების შექმნის შესაძლებლობა თითქმის არ მისცა. იუვენტუსის კოშმარი კი გრძელდება. სუსტი სტარტი სერია ა-ში და პლუს ჩემპიონთა ლიგაში საწყის ოთხ მატჩში სამი თამაში წააგო. ეს ისტორიაში პირველად მოხდა...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 2.ბენფიკა | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 3.იუვენტუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| 4.მაქაბი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |

# შავი ლომი ჯგუფური ეტაპის დასკვნით ეტაპს იწყებს



სამკვირიანი შესვენების შემდეგ, რაგბი ევროპის საკლუბო ტურნირის, სუპერ თასის ჯგუფური ეტაპის მეორე წრე მოახლოვებულ უქმეებზე დაიწყება.

აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციის 4-4 გუნდი, მიჯრით სამი კვირა ითამაშებენ და ნახევარფინალისტების ვინაობას გაარკვევენ.

საქართველოს ჩემპიონი ბათუმი 15 ოქტომბერს რუმინულ ვულვზს მასპინძლობს, ხოლო 22-ში ჰითს ისრაელში ეთამაშება. თასის მფლობელს და აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერ შავ ლომს კი, ორკვირიანი ტურნე ელის: პირველი ქართული ფრენჩაიზი 16-ში ისრაელში, ჰითს ერკინება, 23-ში კი, ვულვზს ბუქარესტში ეთამაშება. ჯგუფური ეტაპის დასკვნით შეხვედრაში შავი ლომი ბათუმს 29 ოქტომბერს უმასპინძლებს.

შავი ლომი რამდენიმედღიანი დასვენების შემდეგ გასულ კვირაში ქუთაისში შეიკრიბა. მოთამაშეთა ნაწილს ტრავმები აწუხებს და ამიტომ გუნდი ევროპულ ტურნეში 30-კაციანი შემადგენლობით მიდის.

**ლევან მაისაშვილი:**

– წვრილ-წვრილი ტრავმები მოგვიმრავლდა. იყო ტვინის შერყევებიც და მორაგბეებს დასვენება პროტოკოლითაც ეკუთვნოდათ. თუმცა, დასვენების პერიოდში მორაგბეთა გარკვეულმა ჯგუფმა დიდ 10-ში ითამაშა და მზადება 6 ოქტომბრიდან გავაგრძელეთ. საწყისი დღე მაღალი ინტენსივობის ვარჯიშებით გვქონდა, კვირას ბიჭებმა დაისვენეს, ორშაბათიდან ვარჯიში ისევ განვაახლეთ. პირველი თამაში ჰითთან გვაქვს, მზადებას ისრაელში გავაგრძელებთ და რუმინეთში პირდაპირ იქიდან ჩავალთ.

სპორტს იღბალიც სჭირდება. ისე მოხდა, რომ ბოლო თამაშში მეორეხაზელები – მიხეილ ბაბუნაშვილი და გიორგი კერვალიშვილი დაშავდნენ. მერაბ შარიქაძეს გახურებისას კუნთი დაეჭიმა. შესაბამისად, მისი თამაში აღარ გავრისკეთ. დაშავდა ლაშა ლომიძე, თორნიკე კახოიძე და სამივე ცენტრი მწყობრიდან გამოვიდა. კახოიძეს, მირიან მოდებაძეს, თენგიზ ზამთარაძეს, თემო ჭიჭინაძეს და გრიგორ ქერდიყოშვილს გრძელვადიანი ტრავმები აქვთ. თორნიკე აქუბარდია და სოსო მათიაშვილი ჯერ კიდევ რეაბილიტაციას გადიან. მოთამაშეთა ნაწილი ისრაელის, ნაწილი კი ბუქარესტის თამაშისთვის დაგვიბრუნდება და წესით, საკადრო პრობლემები არ უნდა შეგვექმნას.

შეგახსენებთ, რომ სამი ტურის შემდეგ შავ ლომს 12 ქულა აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციას ლიდერობს. მეორე ადგილზე მყოფ ჰითს 6 ქულა აქვს. ისრაელის გუნდი ერთადერთია, რომელსაც პირველ წრეში შავმა ლომმა ვერ მოუგო. ქუთაისში ფრე – 25:25 დაფიქსირდა.

– ეს არის გამოცდილი, კარგი ინდივიდუალისტებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც ირგებს საჩუქრებს. ქუთაისში მათ ყველა ქულა ჩვენი შეცდომების შედეგად აიღეს. ველოდებით პროვოკაციებს როგორც დისციპლინის, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. ჰითს აწყობს არეული თამაში და ჩვენ მათ სისტემური, დაგეგმილი თამაში უნდა დავუპირისპიროთ. ვეცდებით, იგივე შეცდომები აღარ დავუშვათ.

**შავი ლომი ისრაელსა და რუმინეთში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება:**

**შერკინება:** ნიკოლოზ ხატიაშვილი, დავით აბდუშელიშვილი, გოგა ქადარია; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, ჯაბა ბრეგვაძე; გიორგი ჩხარტიშვილი, ნიკა პატარაია, ტარიელ დონაძე; ნოდარ ჭეიშვილი, მიხეილ ბაბუნაშვილი, გიორგი კერვალიშვილი; ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, ნიკო აფციაური, პაატა გალდავა, მიხეილ გაჩეჩილაძე, თორნიკე აქუბარდია;

**უკანა ხაზი:** თენგიზ პერანიძე, გიორგი მარგალიტაძე; გიორგი ბაბუნაშვილი, ლუკა მატკავა; მერაბ შარიქაძე, დემე თაფლაძე, ლაშა ლომიძე; აკა ტაბუცაძე, სანდრო თოდუა, ოთარ ლაშხი; ლაშა ხმალაძე, სოსო მათიაშვილი.

# ბუდუ ზივზივაძე უნგრულმა კლუბმა მაისურის გაცვლის გამო დასაჯა

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ბუდუ ზივზივაძე უნგრული კლუბიდან იანვრის სატრანსფერო ფანჯრამდე მოკვეთეს.

მიზეზი თითიდან გამოწოვილია: უნგრეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ზივზივაძის ფეჰერვარი შინ უიპეშტს დაუხვდა და 0:1 დამარცხდა. ბუდუმ ბოლო 15 წუთი ითამაშა, მატჩის დასრულების შემდეგ კი, უიპეშტის ფეხბურთელ ვინსენ ონოვოვალს მაისური გაუცვალა, რომელიც თავად გადაიცვა და გასახდელში ისე შევიდა. 28 წლის ქართველი ფორვარდი უიპეშტის ფანებსაც მისალმებია. ამ ორმა ფაქტმა ფეჰერვარის გულშემატკივრები და კლუბის ხელმძღვანელობა გააღიზიანა.

უნგრული მედია წერს, რომ ზივზივაძეს დღევანდელ ვარჯიშში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. ცნობა ფეჰერვარის ვებგვერდმაც დაადასტურა.

„უიპეშტთან მარცხის შემდეგ ჩვენმა ფორვარდმა უპატივცემულობა გამოავლინა კლუბის, ჩვენი გულშემატკივრებისა და თანაგუნდელების მიმართ, ამიტომ პირველი გუნდის წევრი აღარ არის. ჩვენს კლუბს არ სურს ამ თემაზე დამატებითი კომენტარების გაკეთება" – წერია განცხადებაში.

არადა, უიპეშტი ზივზივაძისთვის ყოფილი კლუბია. თანაც უიპეშტში სწორედ ფეჰერვარმა გაანათხოვრა.

არც ფაქტია უცნაური – მეტოქის მაისურის გაცვლა და ჩაცმა ფეხბურთელებისთვის ახალი ამბავი სულაც არ არის და არაერთხელ მომხდარა.

ზივზივაძეს ფეჰერვართან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე აკავშირებს.

# თუშიშვილი ბრინჯაოს დასჯერდა

უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდური შეჯიბრია დარჩენილი. მამაკაცთა შორის, საქართველოს დელეგაციამ გამოსვლა ოთხი მედლით დაასრულა. ტატო გრიგალაშვილმა ოქრო აიღო, ხოლო ლაშა ბექაურისა და ლუკა მაისურაძის ბრინჯაოს მედლებს, დასკვნით დღეს იგივე სინჯი მძიმე წონაში მოჭიდავე გურამ თუშიშვილმა შემატა.

თუშიშვილმა სლოვენიელ ვიტო დრაგიჩისა და გერმანელ იოანეს ფრეისთან გამარჯვებების შემდეგ, მეოთხედფინალში კუბელ ენდი გრანდასთან წააგო და რეპეშაჟში გადაერთო. ჩვენებურმა ბრინჯაოს შანსი ხელიდან აღარ გაუშვა: ჯერ მასპინძელი ალიშერ იუსუფოვი დაამარცხა, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ტაჯიკ ტემურ რახიმოვს აჯობა.

ხვალ გუნდური ტურნირი ჩატარდება.

# 18 წლამდე ნაკრები მსოფლიოს საგზურისთვის იბრძვის

საქართველოს 18-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში იმყოფება და ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშებაში იასპარეზებს. ეს ინტერკონტინენტალური ეტაპია. აქ გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს.

პრიშტინაში საქართველოს ნაკრებთან ერთად მასპინძლების, ალბანეთის, ბულგარეთისა და დიდი ბრიტანეთის გუნდებიც ითამაშებენ.

საქართველოს 18 წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი გვაზავამ გუნდი კოსოვოში ასეთი შემადგენლობით ჩაიყვანა:

გიგი რუხაძე (ქუთაისი 2015), თემურ ქამადაძე, ნუგზარ ტარიელაძე, ანრი აბულაძე, ნიკოლოზ შერვაშიძე, გივი ზაქარაძე (ყველა აჭარა), გიგა მელიავა, გიორგი ბერაია (ორივე სტუ), გიორგი არეშიძე, დავით გრიშიკაშვილი, სანდრო დარსანია, ლუკა მუკბანიანი (ყველა პეგასი), ვახტანგ ხელისუფალი (სამტრედია), ლევან ფანცხავა (წყალტუბო).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფარული შესაძლებლობა, უნარი; 2. ბურთიანი ჰოკეის ინგლისური სახელწოდება; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი კომპანია; 4. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი მექანიკოსი; 7. მეტალურგიაში ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 9. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. შტატი აშშ-ში; 15. ჟანგბადის ნაკლებობა ორგანიზმში; 17. ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 20. კურორტი ლენტეხის რაიონში.

**თარაზულად:** 5. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. კუთხე საქართველოში; 8. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 10. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 11. კომბინაცია პრეფერანსში; 13. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 16. დეტექტიური ჟანრის ფრანგი მწერალი; 18. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. პროფესიონალი ცხენოსანი; 21. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 22. იაპონური ფინანსური სამრეწველო კონცერნი; 23. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბუნდესვერი; 2. ტუხასი; 3. მურილიო; 4. რაბლე; 5. მანქელი; 6. გორდა; 7. კასიანი; 9. პასივი; 13. ლენინი; 17. სავა; 18. ოყა.

**თარაზულად:** 1. ბაგრატი; 3. მწყერი; 8. კამორა; 10. მალდივი; 11. პენსი; 12. ფერმერი; 14. ქვევრი; 15. იროკეზი; 16. ლისტი; 19. დონორი; 20. მიუსერა; 21. თუშეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. მურყვამი; 4. ჯიქები; 7. ბემბი; 9. კიჭი; 12. სტრასბურგი; 14. ანდორა; 15. თეოფილე; 17. ფარგალი; 20. გაუდა.

**თარაზულად:** 5. ბაჰრეინი; 6. პრუდონი; 8. ჰაჯიბი; 10. საბოტაჟი; 11. კიუსიუ; 13. სტილეტი; 16. ჰიდრანტი; 18. ხავსი; 19. ფშავი; 21. ყაურმა; 22. ალვერდი; 23. ენოლოგი.


**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 ოქტომბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.7859

ევრო — 2.7057

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.0840

100 რუსული რუბლი — 4.3333

**ამინდის პროგნოზი 13 ოქტომბრისათვის**




## კილიან მბაპე: „ბენფიკასთან რთული შეხვედრა გვქონდა“



პსჟ-მ საკუთარ მოედანზე ბენფიკა ვერ დაამარცხა და მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. პსჟ-ს ერთადერთი გოლი კილიან მბაპემ გაიტანა თერთმეტრიანი დარტყმით. მატჩის შემდეგ კილიანმა განაცხადა, რომ ბენფიკა ძლიერი გუნდია, რომელსაც ტურნირში შორს წასვლა შეუძლია: „ბენფიკამ წინააღმდეგობა გაგვიწია, თუმცა ვფიქრობ, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით. ვცდილობთ, რომ ყველა შეხვედრაში მაქსიმუმი გავაკეთოთ, მაგრამ ყოველთვის ეს არ გამოგვდის“.

## მასიმილიანო ალეგრი: „გადადგომას არ ვაპირებ“



ტურინის იუვენტუსი სტუმრად მაკაბისთან დამარცხდა 0:2 და ტურინელებმა თავიანთი მდგომარეობა ძალიან გაირთულეს. მიუხედავად ამისა, მატჩის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ განაცხადა, რომ ის თანამდებობის დატოვებას არ აპირებს: „ვიცი, რომ რთული მდგომარეობაა, მაგრამ დანებებას არ ვაპირებ. მინდა, რომ კრიზისი ერთად დავძლიოთ და ბოლომდე ვიბრძოლებ“.

## რაფაელ ნადალი მამა გახდა



ლეგენდარული ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი მამა გახდა. ნადალს და მის მეუღლეს ხისკა პერელოს პირველი შვილი შეეძინათ და ნადალმა ამ თემაზე უკვე კომენტარიც გააკეთა: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მამა გავხდი და შესაძლოა უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღო, რადგან მინდა, რომ ოჯახთან უფრო მეტი დრო გავატარო. ყველაფერს მალე გაიგებთ“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– რა მოხდება, რომ გაკოცო?

– შენ რა, ანატომია არ გისწავლია? არაფერიც არ მოხდება, არაფერი!

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– გოგო, როგორ ვუწოდო იმპოტენტს იმპოტენტი ისე, რომ ეს სიტყვა არ ვიხმარო?

– უძრავი ქონების მფლობელი.

•••

ბარში მოკლექაბიანი, დაგრეხილფეხებიანი გოგონა შევიდა და ბარმენს ეუბნება:

– რანაირი შემოსასვლელი გაქვთ, კინაღამ ფეხები დავიმტვრიე!

ბარმენმა თავით ფეხამდე შეათვალიერა და უპასუხა:

– ჰოო! მოტეხით არ მოგიტეხიათ... თუმცა მაგრად გაგიღუნიათ!

•••

ქალს ნათესავი ეკითხება:

– აბა, როგორ მოეწყო შენი ქალიშვილი, როგორი ქმარი შეხვდა?

– შესანიშნავად! ქმარს ძალიან უყვარს, მისთვის არაფერს იშურებს, სამკაულებს, ქურქს ყიდულობს, კურორტებზე დაატარებს...

– კარგია, და შენი ბიჭი?

– ჰოო, ჩემ ბიჭს ნამდვილი ალქაჯი შეხვდა, სამკაულები მიართვი ქალბატონს, ქურქი, კურორტებზე ატარე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მიშიკო რამიშვილს ოთარ რამიშვილის კონცერტის ჩატარებაზე უარი უთხრეს



კომპოზიტორისა და მომღერლის ოთარ რამიშვილის შვილს მიშიკო რამიშვილს მამის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტის ჩატარებაზე მერიამ უარი განუცხადა. მიზეზი ბიუჯეტის არქონაა:

– „ოცდაოთხი ოქტომბერი, ეს ბრწყინვალე თარილი, დავიბადე გულკეთილი, ალალი და ღარიბი“ – 24 ოქტომბერს, თბილისის საპატიო მოქალაქის ოთარ რამიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით, საბურთალოზე „კვაჭიჭოს“ სახელობის ქუჩაზე და პატარა სკვერში, გვინდოდა პატარა კონცერტის ჩატარება. მივმართეთ თბილისის მერიას და მხოლოდ სცენა და ძალიან უმნიშვნელო ვთხოვეთ მსმენელისთვის, პასუხი იყო ვებერთელა არა! ბიუჯეტი არ გვაქვსო. ვიცი თქვენთვის, რომ ვარ „პერსონა ნონ გრატა“, ვეცდებით გავაკეთოთ კონცერტი, სადაც მოვლენ ადამიანები, რომლებმაც იციან დედაქალაქის სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა და არა „ჟოპალეზები“.

თქვენ კი „სამი დალიეთ შეგერგებათ, არ დაითვრებით“. დოქსოფულებო, მამები გყავთ? თუმცა „დათესე თხილი, ამოვა თხილი, რაც მამა არის, ისაა შვილი.“

## „მასტერშეფმა“ მერვე სეზონი დაიწყო




კულინარიულმა შოუმ „მასტერშეფმა“ რიგით მერვე სეზონი დაიწყო და ათასობით მაყურებელს სრულიად გამორჩეული მონაწილეები წარუდგინა.

შოუს ხელმძღვანელებისა და ჟიურის გადაწყვეტილებით, წელს შოუში მონაწილეობის მსურველებისთვის კონკურსი არ გამოცხადებულა. კონსტანტინე თედელურმა, თიკუნა გაჩეჩილაძემ, ლევან კობიაშვილმა და ლუკა ნაჭყებიამ წინა 7 სეზონის მონაწილეებიდან საუკეთესო კონკურსანტები შეარჩიეს და შოუს 12-ეულში გააერთიანეს.

„მასტერშეფის“ მერვე სეზონის მონაწილეები არიან ნინო ვარშანიძე, ლუკა თოდუა, გიგი აფციაური, დიმუ მენაბდე, მარიამ ბართაია, ქეთო ბექაური, მარიკა კოპალიანი, დიმიტრი რჩეულიშვილი, ნიკუშა მანაგაძე, თემო ქაქუჩაია, ირაკლი მაკასარაშვილი და თათია თექთურმანიძე.

„მასტერშეფის“ მერვე სეზონი არის უმაღლესი ლიგა – შოუ გამარჯვებისთვის – დაბრუნება გამარჯვებისთვის – ყველა სეზონის უძლიერესი მონაწილეები გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

გამორჩეული სეზონი გამორჩეული წესებით – მხოლოდ ქართული სამზარეულო და მხოლოდ უმაღლესი ხარისხი.

„მასტერშეფის“ მერვე სეზონს ორი მონაწილე უკვე გამოეთიშა. ჟიურის გადაწყვეტილებით პროექტი ქეთო ბექაურმა და თემო ქაქუჩაიამ დატოვეს.

## ანსამბლი „ჩვენებურები“ იერუსალიმში კონცერტს გამართავს



13 ოქტომბერს იერუსალიმში, ეინ-კერემის დასახლებაში, ღვთისმშობლის წყაროსთან ქართული ფოლკლორული ჯგუფი „ჩვენებურები“ ეინ-კერემის საერთაშორისო ფესტივალის ძირითად სცენაზე ისრაელელი მსმენელისთვის ნაცნობ, მაგრამ მონატრებულ ქართულ ჰანგებს ააჟღერებს.

ანსამბლი მსმენელის წინაშე განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამით წარდგება და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## ფესტივალი „საჩუქარი“ იწყება

15 ოქტომბრიდან მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ იწყება და ის მსოფლიო თეატრის გამოჩენილ რეჟისორს პიტერ ბრუკს მიეძღვნება.




წელს ფესტივალი იუბილარია – მისი დაარსებიდან 25 წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, ფესტივალი საიუბილეო წელს ევროპული თეატრის დასაბამთან ბრუნდება და „ბერძნულ ფოკუსს“ გთავაზობთ. პირველად ფესტივალის ისტორიის მანძილზე, თეატრისა და ხელოვნების მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მონაწილეობა საშემსრულებლო ხელოვნების თანამედროვე ლაბორატორიაში, სადაც მსოფლიოში წამყვანი ბერძენი რეჟისორების სპექტაკლები, ვორკშოფები, ლექციები, მასტერკლასები და საგანგებოდ შექმნილი საპრემიერო დადგმაა წარმოდგენილი. წელს მაყურებელს ტრადიციულად მიეცემა შესაძლებლობა გაეცნოს უმაღლესი ხარისხის სახელოვნებო მიღწევებს, რომლებიც ევროპის კულტურულ მემკვიდრეობას ქმნიან და კონტინენტის ფუნდამენტურ ღირებულებებს უწევენ პოპულარიზაციას.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ 1997 წელს დაარსდა და უკვე 22-ე წელია, რაც მსოფლიო სახელოვნებო ავანგარდში მოიაზრება, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ცოცხალ ქრონიკად. იგი ქვეყნის თანამედროვე კულტურული პროცესების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრესს ასახავს. ფუნდამენტური მრწამსით, სახელოვნებო ხარისხითა და საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით „საჩუქარი“ პრესტიჟული ევროპული ფესტივალების რიგში დგას.

წლევანდელ ფესტივალზე 15 და 16 ოქტომბერს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „ალარმე“ და მას მაყურებელს შესთავაზებს თეატრი „ატისი“ საბერძნეთიდან. სპექტაკლის რეჟისორი, სცენოგრაფი და ტექსტის ავტორი თეოდოროს ტერზოპულოსია, კოსტიუმების მხატვარი – ლუკია, კომპოზიტორი – პანაიოტის ველიანიტისი. სპექტაკლში მონაწილეობენ მთხრობელი – ტასოს დიმას, მარიამ სტიურტი – აგლაია პაპა, ელისაბედი – სოფია ჰილსი.

ეპისტოლური ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი პიესა ცნობილ ისტორიულ ბრძოლას იკვლევს, დედოფალ ელისაბედ პირველსა და შოტლანდიის დედოფალ მარიამ სტიუარტს შორის. ფატალურ კონფლიქტს ტახტისთვის, რომელიც სტიუარტის თავის მოკვეთით დასრულდა, მესამე გმირიც აკვირდება – მთხრობელი, გალატაკებული სამოქალაქო პირი, რომელიც სარკასტულ შეფასებას აძლევს ორი დედოფლის ტკივილისა და ბრძოლის ამბავს. სწორედ ამ დინამიზმს, რომელიც ბოლომდე უთქმელი რჩება, სრულ განადგურებამდე მიჰყავს ორივე.

ფესტივალი „საჩუქარი“ 15 ნოემბერს მაყურებელს წარუდგენს სპექტაკლს „სასტუმროს დიასახლისი“ და ის თუმანიშვილის თეატრში გათამაშდება. თეატრალური კომპანია იტალიიდან ფესტივალის სტუმრებს რეჟისორ ანდრეა კიოდის ნამუშევარს შესთავაზებს. მხატვარი – მარგარიტა ბალდონია, კომპოზიტორი – დანიელე დ'ანჯელო. სპექტაკლში მონაწილეობენ: მარიანჯელა გრანელი, ტინდარო გრანატა, კატერინა კარპიო, ემილიანო მასალა, ფრანჩესკა პორინი. ადაპტირებული სათეატრო ტექსტი იტალიურიდან ქართულ ენაზე ირინა ბაგაურმა თარგმნა.

დადგმა განსაკუთრებით საყურადღებოა იტალიური ენისა და დრამატურგიის, იტალიური სათეატრო კლასიკის და იტალიური ლიტერატურის მოყვარულთათვის. წარმოდგენა გაიმართება იტალიურ ენაზე ქართული სუბტიტრებით. „სასტუმროს დიასახლისი“ გოლდონის შედევრადაა მიჩნეული. ხშირად ამ პიესას უილიამ შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“ ადარებენ. გოლდონის პიესის სიუჟეტი დაფუძნებულია მირანდოლინას თავგადასავალზე, მიმზიდველ და გონიერ ახალგაზრდა ქალზე, რომელსაც მამისგან მემკვიდრეობით ფლორენციაში სასტუმრო დარჩა და რომელსაც მსახურის, ფაბრიციოს დახმარებით მართავს.

უცხოეთიდან მოწვეულ თეატრალურ დასებთან ერთად, ფესტივალის ფარგლებში 24 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება რეჟისორ ქეთი დოლიძის სპექტაკლი „როგორც ქვეყანა ვკვდები“. წარმოდგენა მონოდრამაა და მასში ზურა ყიფშიძე მონაწილეობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



**13 ოქტომბრისათვის**

**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** – მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **ტყუპები** – სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** – გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გაგათავისუფლებთ. **ლომი** – გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** – საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. **სასწორი** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **მორიელი** – ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. კოლონიებში გამდიდრებულ ადამიანთა სახელწოდება ბრიტანეთში; 3. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 4. გადამყიდველი, სპეკულიანტი; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 6. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 7. ვიწროყელიანი ღვინის სასმისი; 9. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 13. ბურთიანი ჰოკეის სახელწოდება ბრიტანეთში; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე.

**თარაზულად:** 1. ძრავა, რომელიც წყლის ორთქლის ენერგიას გარდაქმნის მექანიკურ ენერგიად; 3. მთვარიანი ღამე; 8. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. ბერძნული ცეკვა; 14. აეროპორტი პეკინში; 15. ჟანგბადის აღმომჩენი ბრიტანელი ქიმიკოსი; 16. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 19. რძის პროდუქტი; 20. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 21. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*